## ილია II: ოსებს და ქართველებს საუკუნოვანი ნათესაობა, მეგობრობა და, რაც მთავარია, ქრისტიანული რწმენა გვაერთიანებს და უნდა შევძლოთ მშვიდობიანი თანაცხოვრება

# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 9 აგვისტო, 2008 წელი.

№ 147 (6005)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## მიხეილ სააკაშვილი: საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია





## ხვალ... „სამშობლო“ დაარბიეს...



ხვალ, 10 აგვისტოს, ერთი წლიწადი სრულდება, რაც „ვარდების“ ხელისუფლებამ, ბიუჯეტის შევსების საბაბით, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან უბოდიშოდ ქუჩაში გამოყარა ათობით რედაქცია — გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზიები. თუმცა გამომცემლობის შენობა დღემდე ისევ გაუყიდავია და შიგნით უკვე ნახევრად დანგრეულსა და დაქცეულს მზრუნველი პატრონი ჯერაც არავინ უჩანს. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც, იმ ძველი ანდაზად თქმულისა არ იყოს, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესევიან ხოლმე, ხოლო ზვინად დადგმულ თივას პატრონობენ ავი ძაღლები, რომლებიც არც თვითონ ჭამენ თივას და არც სხვას აჭმევენ... ზვინი კი ნელ-ნელა ლპება. თანაც კიდევ გასაყიდი „სამშობლოს“ ფულით არც ბიუჯეტი შევსებულა...

## თივისა და ძაღლის ანდაზის არ იყოს...

კონფლიქტის ქრონიკა

# მიხეილ სააკაშვილის სატელევიზიო მიმართვა

**გუშინდელი ღამის განმავლობაში საქართველოს ძალოვანმა სტრუქტურებმა გაათავისუფლეს წინაგარის რაიონი მთლიანად, ზნაურის რაიონი მთლიანად, სოფელი დმენისი, ხეთაგუროვო, ღრომი და ალყა შემოარტყეს ქალაქ ცხინვალს. ასევე, გათავისუფლებულია ქალაქ ცხინვალის უმეტესი ნაწილი და ამჟამად სროლები მიმდინარეობს ქალაქის ცენტრში.**

ამავე დროს, მინდა განვაცხადო მთელი მსოფლიოს გასაგონად. საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია. ბოლო წუთებისა და საათების განმავლობაში განხორციელდა საქართველოს ტერიტორიის დაბომბვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან. დაიბომბა დასახლებული პუნქტები, მშვიდობიანი ობიექტები და ეს სხვა არაფერია, თუ არა კლასიკური საერთაშორისო აგრესია.

სააკაშვილმა მიმართა რუსეთის ფედერაციას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საქართველოს მშვიდობიანი ქალაქების დაბომბვა. მისი თქმით, საქართველო ამ კონფრონტაციის ინიციატორი არ ყოფილა.

საქართველო თავის ტერიტორიას არ დათმობს, საქართველო თავისუფლებაზე უარს არ იტყვის, — განაცხადა სააკაშვილმა.

# პატრიარქი მშვიდობისკენ მოუწოდებს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს და როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე ოსურ მხარეს მოუწოდებს, ყველაფერი გააკეთონ, რათა შეწყდეს საომარი დაპირისპირება და პრობლემები მშვიდობიანი გზით გადაწყდეს.**

გამოვთქვამთ ჩვენს დიდ შეშფოთებასა და გულისტკივილს სამაჩაბლოში ბოლო დღეებში შექმნილი მდგომარეობის გამო. სისხლი და მსხვერპლი ჩვენს შორის არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს და უფსკრულს გააღრმავებს. ამიტომაც მოვუწოდებთ როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე ოსურ მხარეს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანის სიცოცხლე და ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება, ყველაფერი გააკეთონ, რათა შეწყდეს საომარი დაპირისპირება და პრობლემები მშვიდობიანი გზით გადაწყდეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება სამშვიდობო პოლიტიკის გატარების მომხრეა. ვიმედოვნებთ, ოსური მხარეც არ გაამწვავებს ვითარებას. ოსებს და ქართველებს საუკუნოვანი ნათესაობა, მეგობრობა და, რაც მთავარია, ქრისტიანული რწმენა გვაერთიანებს და უნდა შევძლოთ მშვიდობიან თანაცხოვრებას სისხლის გარეშე მივაღწიოთ. მივმართავ საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირებს და მორწმუნე ერს - გააძლიერონ ლოცვა მშვიდობისათვის, — ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

## იძულებული ვართ ადეკვატური ზომები მივიღოთ

**სამხრეთ ოსეთის რეგიონში მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შეიარაღებული თავდასხმის აღსაკვეთად, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, მიელო ადეკვატური ზომები, — ასეთი განცხადება გაავრცელა გუშინწინ ღამით საქართველოს მთავრობამ.**

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, უკანასკნელი საათების განმავლობაში სეპარატისტებმა განახორციელეს სამხედრო თავდასხმა რეგიონის სოფლების მშვიდობიან მოსახლეობაზე და სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებზე, რამაც უკიდურესი ესკალაცია გამოიწვია.

კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ სეპარატისტებმა განახორციელეს თავდასხმა ცხინვალის ახლომდებარე სოფლებზე. კერძოდ, 22.30 საათზე იერიში მიტანილი იყო ფრისზე, ხოლო 23.30 საათზე — სოფელ თამარაშენზე. ასევე განხორციელდა სამშვიდობო ძალების პოზიციების და მშვიდობიანი მოსახლეობის მასირებული დაბომბვა. შეტევის შედეგად არიან დაჭრილები და დაღუპულები.

ამასთანავე, მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ არსებული მონაცემების თანახმად, როკის გვირაბის გავლით, რუსეთ-საქართველოს საზღვარი გადმოლახა ასობით შეიარაღებულმა პირმა და სამხედრო ტექნიკამ და სწორედ ამის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო ადეკვატური ზომები.

საქართველოს მთავრობა კვლავ ადასტურებს თავის მზადყოფნას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის და მოუწოდებს სეპარატისტებს, შეწყვიტონ შეიარაღებული მოქმედებები და მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, — აღნიშნულია განცხადებაში.

## ოსურმა ბანდფორმირებებმა ტყეს შეაფარეს თავი

**სეპარატისტთა ბანდფორმირებებისაგან გათავისუფლებული სამხრეთ ოსეთის სოფლების მოსახლეობა ქართული ქვედანაყოფების მიმართ აგრესიას არ გამოხატავენ. გათავისუფლებული სოფლების მოსახლეობა ქართული ქვედანაყოფების შესვლას მიესალმება.**

იმ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც ქართულმა ქვედანაყოფებმა დაიკავეს, მოსახლეობის მხრიდან არავითარი აგრესია არ იგრძნობა. რიგითი მოქალაქეები, რომლებიც კოკოითის რეჟიმისაგან ზეწოლასა და ტერორს განიცდიდნენ, არავითარ აგრესიას არ ავლენენ, — განაცხადა ლიახვის ხეობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბასიშვილმა.

რაც შეეხება ამ სოფლებიდან გაქცეულ სეპარატისტთა ბანდფორმირებებს, ბასიშვილის თქმით, ისინი თავს აფარებენ ტყეებს.

## კოკოითმა ცხინვალი დატოვა

**ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა სამხრეთ ოსეთი დატოვა. სამხრეთ ოსეთი დატოვა მისმა უახლოესმა გარემოცვამაც.**

ცხინვალი საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ჯავის რაიონში განლაგებულ შტაბში იმყოფებოდა, თუმცა როგორც „ჯი-ეიჩ-ენს„ ცხინვალიდან აცნობეს, ამ დროისათვის კოკოითი ჯავის რაიონშიც არ იმყოფება.

ამავე წყაროს ცნობით, ვრცელდება ინფორმაცია, რომ კოკოითი ჩრდილოეთ ოსეთში ჩავიდა, საიდანაც იგი მოსკოვში გაემგზავრება.

## ბრძოლაში რუსული ავიაცია ჩაერთო

**გუშინ, თორმეტი საათისთვის ცხინვალის გარშემო მდებარე სოფლებს, რომლებსაც უკვე ქართული მხარე აკონტროლებდა, რუსეთის ავიაცია ინტენსიურად ბომბავდა.**

განსაკუთრებულად ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა სოფელი ქსუისი, სადაც ქართველი ჟურნალისტებიც იმყოფებოდნენ.

## ბომბდამშენებმა ქარელში ორი ბომბი ჩამოაგდეს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის ტერიტორიიდან შემოფრინდა სავარაუდოდ სუ-24-ის ტიპის სამი ბომბდამშენი.** ერთ-ერთმა მათგანმა ცეცხლი გაუხსნა ქარელის პოლიციის შენობას და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოაგდო ორი ბომბი.

## ჩამოგდებულია ერთი რუსული თვითმფრინავი

**ცხინვალის სამხრეთით სოფლების უმრავლესობას საქართველოს მხარე აკონტროლებს.**

ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკატერინე ზღულაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისივე თქმით, ამ სოფლებში სიტუაცია ძალიან სტაბილურია.



ძალიან შემაშფოთებელია ის, რომ ორჯერ დილიდან დაირღვა ქართული საჰაერო სივრცე რუსული მოიერიშე ავიაციის მიერ. სავარაუდოდ, ეს იყო სუ-24. დაახლოებით — 10.30 საათზე დაფიქსირდა პირველად სამი თვითმფრინავის შემოფრენა. დაიბომბა გორი, ქარელი და ქარელის რაიონის სოფელი ვარიანი, — განაცხადა ზღულაძემ.

როგორც შს მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, დაშავდა 7 ადგილობრივი მოსახლე.

საჰაერო სივრცის დარღვევა, დაახლოებით, 11.30 საათზე განმეორდა. დაფიქსირდა სულ მცირე 4 მოერიშე თვითმფრინავი. მსხვერპლი არ არის, — განაცხადა ზღულაძემ.

ამასთან, ქართულმა მხარემ ერთი რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდო.

საქართველოს მთავრობა რუსული სუ-24-ის ტიპის მოიერიშე ბომბდამშენების მიერ გორის ტერიტორიაზე ჭურვების ჩამოგდებას პირდაპირ აგრესიად აფასებს.

## დაიწყო კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა

**საქართველოს ხელისუფლებამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.**

ამის შესახებ ჟურნალისტებს ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაურმა მამუკა ყურაშვილმა განუცხადა.



რამდენჯერმე მოვუწოდეთ ოსურ მხარეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ იმის გამო, რომ ოსური მხარე სროლებს არ წყვეტს, მთავრობამ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო, — აღნიშნა გენერალმა მამუკა ყურაშვილმა.

## გორში „ჯეოსელის“ ანძის აფეთქება სურდათ

**რუსული ავიაციის მიერ ქალაქ გორში ჩამოგდებულმა ერთ-ერთმა ჭურვმა, რომელიც ბამბეულის კომბინატის ტერიტორიაზე აფეთქდა, დაახლოებით 3 მეტრი სიღრმის და 10 მეტრის სიგანის ორმო დატოვა.**

აფეთქებამ ძლიერი ნგრევა გამოიწვია. დანგრეულია მიმდებარე შენობები. სავარაუდოდ, რუსული ავიაციის სამიზნე იყო „ჯეოსელის“ ანძა, რომელიც აფეთქების ადგილიდან დაახლოებით 10 მეტრში მდებარეობს.

## გამოცხადდა რეზერვისტთა საყოველთაო მობილიზაცია

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში რეზერვისტთა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა.**

ვაცხადებ რეზერვისტთა საყოველთაო მობილიზაციას. ყველა უნდა გამოცხადდეს გაწვევის პუნქტებში, ყველამ ერთად უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, მოხდა ასეული ათასი რეზერვისტის მობილიზაცია და მობილიზაცია კვლავ გრძელდება.

ძალიან მნიშვნელოვანია ყველანი დავირაზმოთ სამშობლოსთვის ძნელბედობის ჟამს, როცა წყდება საქართველოს, თითოეული ჩვენგანის მომავლის, თავისუფლების ბედი, ბედი იმისა, გვექნება თუ არა სამშობლო. არ შეგვეშინდეს არც ბომბების, არც მათი შეტევების, ჩვენ უფრო მეტნი ვართ, ჩვენ ვიცავთ ჩვენს ქვეყნას, ჩვენს სამშობლოს, საქართველოს მომავალს, — განაცხადა პრეზიდენტმა.

## როკის გვირაბიდან შემოსვლა ვერ მოახერხეს

**გუშინ, დაახლოებით 12 საათზე, რუსეთის ფედერაციის 58 არმიის მსხვილმა დანაყოფმა როკის გვირაბის გავლით ჯავის რაიონის მიმართულებით გადაადგილება სცადა, მაგრამ საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ შესაბამისი საპასუხო ღონისძიებების მიღების შემდეგ რუსული არმიის დანაყოფმა ისევ უკან, გვირაბის ჩრდილო ნაწილისკენ დაიწიეს.**

ჯავის რაიონისათვის ალყის შემორტყმის ოპერაცია დასრულებულია. დაახლოებით 11:30 საათზე ქართულ არმიას 10 დაქირავებული მებრძოლი ჩაბარდა.

## დროებითი მორატორიუმი

**საქართველოს ხელისუფლებამ გუშინ 15.00-დან 18.00 საათამდე სროლაზე მორატორიუმი გამოაცხადა და მათ, ვინც მეორე მხარეს იარაღს დადებდა, უსაფრთხო გადაადგილების გარანტიას მისცემდა.**

მორატორიუმის გამოცხადების დროს საქართველოს ხელისუფლება უკვე ცხინვალის 70 პროცენტს აკონტროლებდა.

ჩვენი მთავარი ამოცანა ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა; პირველ რიგში, ქალების, ბავშვებისა და მოხუცების, ასევე, მათი, ვინც ჩართულია საბრძოლო მოქმედებების იქითა მხარეს, — აღნიშნა გიგი უგულავამ.

## კონფლიქტის ქრონიკა

### რუსეთის პრეზიდენტმა შვებულება შეწყვიტა

**ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების გამო რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა შვებულება შეწყვიტა.**

რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, მედვედევი ოჯახთან ერთად, მდინარე ვოლგაზე თბომავალ „როსია“-თი მოგზაურობდა.

### დიმიტრი მედვედევი გვემუქრება!

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ იგი ვალდებულია, დაიცვას ყველა რუსი მოქალაქის სიცოცხლე და ღირსება, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი.**

„დამნაშავეები მიიღებენ საკადრის პასუხს“, — განაცხადა გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარების შესახებ საუბრისას.

ქართული მხარის ქმედებამ მოიტანა ადამიანის მსხვერპლი, მათ შორის რუსეთის სამშვიდობოებს შორის. ახლა სამხრეთ ოსეთში იღუპებიან ქალები, ბავშვები, მოხუცები და მათი უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან. კონსტიტუციის შესაბამისად და ფედერაციის კანონმდებლობით როგორც რუსეთის პრეზიდენტი ვალდებული ვარ, დავიცვა სიცოცხლე და ღირსება რუსეთის მოქალაქეების, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი. ლოგიკა ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯებისა ნაკარნახევია ამ მდგომარეობით. ჩვენ არ დაუშვებთ ჩვენი მოქალაქეების სიკვდილის დაუსჯელობას. დამნაშავეები მიიღებენ საკადრის სასჯელს, — განაცხადა მედვედევმა.

### რუსებმა რაჭა დაბომბეს

**რუსული ავიაციიდან დაიბომბა რაჭის რეგიონი, კერძოდ, ონის რაიონის სოფელ წედისი, სადაც ქართველი სამართალდამცავები იმყოფებოდნენ. არსებული ინფორმაციით, ქართულ მხარეს არის მსხვერპლი.**

### ცხინვალისკენ სამხედრო კოლონა გაგზავნეს

**ცხინვალის მიმართულებით რუსული სამხედრო ტექნიკისა და ტანკების კოლონა მიემართება. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ.**

რუსულმა ტელეკომპანიებმა გაავრცელეს ვიდეომასალა, რომელზეც სამხედრო ტექნიკის გადადგილებაა ასახული.

### რუსეთის 58-ე არმიის დანაყოფები ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებიან

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს 58-ე არმიის დანაყოფები ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებიან. მათი მი-



ზანი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგარი რუსული სამშვიდობო კონტიგენტის წარმომადგენელთა დახმარებაა. ინფორმაცია ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების სარდლის თანაშემწემ იგორ კონაშენკოვმა გაავრცელა.

### ჭურვები მარნეულშიც ჩამოყარეს

**გუშინ რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა რამდენიმე ჭურვი მარნეულში, კერძოდ სამხედრო აეროდრომზე ჩამოაგდო.**

### ჭურვები ბოლნისშიც ჩამოყარეს

**რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა ბოლნისის ტერიტორიაზე რამდენიმე ჭურვი ჩამოყარეს.**

ალნიშნულ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად ადასტურებს. ცნობა ნგრევისა და მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს.



### 4 ბომბდამშენი ჩამოაგდეს

**საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლომაიამ განაცხადა, რომ დღის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების 4 თვითმფრინავი ჩამოაგდეს იმ დროს, როდესაც ისინი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მშვიდობიანი და სამხედრო ობიექტებისა და საჯარისო ნაწილების წინააღმდეგ შეტევას ახორციელებდნენ.**

ეს ინფორმაცია დაადასტურა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა.

### გაეროში აშშ-მ რუსეთს ჯარების გაყვანა მოითხოვა

**გაეროში აშშ-მ რუსეთისგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემა და საქართველოს ჩრდილოეთში, ცხინვალის რაიონებში შეყვანილი ჯარების გაყვანა კატეგორიულად მოითხოვა, — აღნიშნული ინფორმაცია რუსულ ინტერნეტ-საიტებზე გაავრცელეს.**

ადრინდელი ინფორმაციით, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა უშედეგოდ დასრულდა, რამდენადაც მხარეები სამხრეთ ოსეთში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით რეზოლუციაზე ვერ შეთანხმდნენ.

ამავე წყაროს ცნობით, ცხინვალში კოკოითის რეზიდენციის თავზე ქართული დროშა ფრიალებს.

გუშინ კონფლიქტის ზონაში ვითარება მკვეთრად დაიძაბა, რაც ცხინვალის რეგიონში რუსეთის მე-19 დივიზიის შესვლამ გამოიწვია.

### მამუკა არეშიძეს რუსეთის დუმილი აეჭვებს

**რუსული მხარის მშვიდი პოზიცია საეჭვოა. გასაკვირია, რომ რუსეთი სეპარატისტულ რეგიონებს უმოქმედოდ თმობს. არსებობს საშიშროება. რომ როკის გვირაბით შემოყვანილი სამხედრო ძალა ქართულ-ოსურ დაპირისპირებაში ჩაერთოს, — განაცხადა არეშიძემ.**

მისივე თქმით, თუ საქართველო არსებულ მდგომარეობას შეინარჩუნებს და დამატებით პროვოკაციებს არ აჰყვება, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კრიტიკული შეფასებები მოსალოდნელი არ არის.

### აფხაზებს სიმშვიდისკენ მოუწოდებენ

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი მოუწოდებს სეპარატისტულ აფხაზეთს სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით არავითარი ნაბიჯები არ გადადგას და მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაართულოს.**

### ბაღაფშმა ჯარები საქართველოს საზღვართან გადმოისროლა

**აფხაზეთის ე. წ. უშიშროების საბჭომ აფხაზური არმიის აღმოსავლეთის დაჯგუფების საქართველოს საზღვრისკენ გადაადგილების გადაწყვეტილება მიიღო.**

### კულახმეტოვს რუსი სამხედროები ეცოტავება

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობოების სარდალი მარატ კულახმეტოვი რუსული სამხედრო კონტინგენტის გაზრდის აუცილებლობაზე საუბრობს.**

როგორც კულახმეტოვმა საინფორმაციო სააგენტო „რესს“ მიმდინარე მოვლენების კომენტირებისას განუცხადა, მოვიდა დრო, როდესაც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება რუსი სამშვიდობოების კონტინგენტის გაზრდის შესახებ.

### „რუს სამშვიდობოებს არ ვერჩით“

**საქართველოს მთავრობა კატეგორიულად უარყოფს რუსული საინფორმაციო წყაროების ინფორმაციას, თითქოს საქართველოს შეიარაღებული ძალები რუს სამშვიდობოებზე მიზანმიმართულ იერიშს ახორციელებენ.**

ამის შესახებ გუშინ ბრიფინგზე საქართველოს შს მინისტრის მოადგილემ ეკატერინე ზღულაძემ განაცხადა.

რა თქმა უნდა, არსებობენ ოსეთში, და, სავარაუდოდ რუსეთშიც ძალები, რომელთაც სურთ ფართომასშტაბიანი ჩართვა საქართველოში მიმდინარეო მოვლენებში და ეს შეიძლება გამოიყენონ, როგორც საბაბი, — აღნიშნა ზღულაძემ.

მისივე თქმით, ასეთი სურვილი, შეიძლება, გამოყენებული იყოს საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის გამართლებად.

### გაერო შეშფოთებულია

**გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავს საქართველოს სამხრეთ ოსეთის რეგიონში ძალადობისა და ვითარების გამწვავების გამო.**

გაეროს ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ბან კი მუნმა მოუწოდა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს არ დაუშვან ვითარების შემდგომი გამწვავება და თავი შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც რეგიონში სიმშვიდეს დაემუქრება.

გენერალური მდივანი სერიოზულ შეშფოთებას გამოხატავს სამხრეთ ოსეთში ძალადობის აქტების მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით, — აღნიშნულია განცხადებაში, რომელიც ბან კი მუნის სახელით მისმა პრესმდივანმა მიშელ მონტასმა გააკეთა.

### სიტუაციიდან გამოსავალი მხოლოდ დიალოგის დაწყებაა

**ნატოს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი სამხრეთ ოსეთში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით მხარეებს ცეცხლისა და საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებლივი შეწყვეტისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი მხარეთა შორის დაუყოვნებლივი პირდაპირი დიალოგის დაწყებაა.**

### ბრაიზა ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს

**აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე მეთიუ ბრაიზა ქართულ და ოსურ მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს.**

ბრაიზას განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის დეკლარაციის თანახმად, ცეცხლი უნდა შეწყდეს და ვითარება განიმუხტოს.

მისივე თქმით, რუსული მხარე ცდილობდა, დაერწმუნებინა ოსური მხარე შეეწყვიტა ცეცხლი, თუმცა მათ ძალადობისა და პროვოკაციის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღეს.



### აზერბაიჯანი ქართველებს მხარს უჭერს

**აზერბაიჯანი საქართველოს სამხრეთ ოსეთში წარმოებულ ქმედებებში მხარს უჭერს. ამის შესახებ ინფორმაციას „რეგნუმი“ ავრცელებს.**

აზერბაიჯანის სახელმწიფო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ ამ ჩარჩოში უნდა მოხდეს, — „რეგნუმის“ ცნობით, ამის შესახებ განცხადება აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა, ხაზარ იბრაგიმმა გააკეთა.

---

### ახლა შიდაპოლიტიკური გარჩევების დრო არაა

**„ახალი მემარჯვენეები“ ხელისუფლებასთან დაპირისპირებაზე მორატორიუმს აცხადებენ.**

ამის შესახებ პოლიტიკური გაერთიანების ლიდერმა დავით გამყრელიძემ გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, მაშინ, როცა ქვეყანაში მსგავსი რთული მდგომარეობაა შექმნილი, შიდაპოლიტიკური გარჩევების დრო არ არის.

გამყრელიძე მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ პარტიასა და ოპოზიციურ ძალას, შეწყვიტონ შიდაგარჩევები.

მან იმედი გამოთქვა, რომ საომარი მოქმედებები მალე დასრულდება.

### „რესპუბლიკელებს“ საერთაშორისო ორგანიზაციების იმედი აქვთ

**მივმართავთ საქართველოს მთავრობას, ყველა ღონე იხმაროს მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა და საცხოვრებელი ადგილისა. ამის შესახებ „რესპუბლიკური პარტიის“ საგანგებო განცხადებაშია აღნიშნული.**

შექმნილ ვითარებაში უმთავრესი პრიორიტეტია შეიარაღებული კონფრონტაციის შეწყვეტა და ცხინვალის რეგიონში მშვიდობის დამყარება. გვახსოვდეს, რომ საომარი მოქმედებები მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე, იღუპებიან საქართველოს მოქალაქეები“, — ნათქვამია განცხადებაში.

„რესპუბლიკელები“ იმედოვნებენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების მთავრობები დაუყოვნებლივ ჩაერევიან და გამოიყენებენ ყველა პოლიტიკურ რესურსს.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

პარლამენტის ბიუროს სხდომა

# ახლა მთავარია ერთიანობა და ვერავინ დაგვამარცხებს

**პარლამენტის რიგგარეშე ბიუროს სხდომამ ქვეყანაში შექმნილ საგანგებო ვითარებაზე იმსჯელა.**

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ ახლა გული და გრძნობა ცხინვალშია, სადაც ქართული სახელმწიფოს ბედი წყდება. მისი თქმით, საქართველო რუსეთის მხრიდან გამოუცხადებელი ომის პირობებში იმყოფება, ეს არის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია, ქვეყანაში დამთავრდა ის დრო, როცა ვიღაცები გვაშინებდნენ.

**„ჩვენ დღეს ან გავიმარჯვებთ და ვიქნებით ღირსეული სახელმწიფო, ან გაათმაგდება ჩვენს წინაშე არსებული ყველა პრობლემა“.**

დავით ბაქრაძემ საზოგადოებას ერთიანობისა და კონსოლიდაციისკენ მოუწოდა. **„სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სამშვიდობო პოლიტიკის ნაცვლად, სეპარატისტებმა კონფლიქტის გზა აირჩიეს, დიალოგზე უარი და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვის გზა აირჩიეს.**

**ჩვენ ნამდვილად არ ვართ იმ სცენარის მომხრე, რომელიც იქ დღეს ვითარდება, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს სახელმწიფო არ მოითმენს მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას. ჩვენ ამას არ მოვითმენთ და დღევანდელი ქმედებებიდან კოკოითს ეს უკვე კარგად უნდა ესმოდეს“,** — აღნიშნა ბაქრაძემ.



მისი განცხადებით, საქართველოს შესწევს ძალა, არსებულ ვითარებაში მათ ადეკვატური პასუხი გასცეს.

**„ჩვენ ყველაზე მეტად დღეს გვჭირდება ერთიანობა. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ვართ იმ ბიჭების ღირსი, რომლებიც იქ იბრძვიან; იმ რეზერვისტებისა და მოხალისეების ღირსნი, რომლებიც საქართველოს თავს სწირავენ. შიდაპოლიტიკური გარჩევის და კინკლაობის დროს არ არის. ახლა მთავარია ერთიანობა და ვერავინ დაგვამარცხებს“,** — განაცხადა ბაქრაძემ. ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ რამდენიმე დეპუტატს გავესაუბრეთ.

**გია თორთლაძე:** — ვფიქრობ, კონფლიქტი დროში გავჭიმეთ კიდეც. ის, რომ არ წყდებოდა საარტილერიო სროლები ქართულ სოფლებზე, პასუხის გაუცემლობა წარმოუდგენელი იყო. მაშინ სახელმწიფო არ ვიქნებოდით. სახელმწიფოს დანიშნულება სწორედ საკუთარი მოქალაქეების დაცვაა.

**შოთა მალაშხია:** — ეს არის რუსეთის ღია აგრესია, ხოლო ჩვენი მხრიდან — ანტიკრიმინალური ოპერაციაა, უწინარესად კი იმ ოსებისთვის, რომლებიც ტყვეობაში იმყოფებოდნენ. კოკოითის ხელისუფლებისგან ისინიც განთავისუფლდნენ და მთელი მოსახლეობა მალე ნახავს, როგორ შეიძლება კეთილმეზობლობის პირობებში ოსებმაც და აფხაზებმაც იცხოვრონ.

**ნუგზარ წიკლაური:** — საქართველოს პრეზიდენტის უმაგალითო მიმართვამ, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარებულიყო, შედეგი არ გამოიღო. ჩვენ მივიღეთ უფრო გაძლიერებული თავდასხმა ქართულ მშვიდობიან მოსახლეობაზე. დაიწყო სრულიად ლოგიკური, კონსტიტუციური სამართლიანობის აღდგენის პროცესი.

სხვა საქმეა ის, რომ რუსების მხრიდან მეტ-ნაკლებად დაფარული ყოფილიყო მათი მონაწილეობა, ახლა ეს არის სრულიად ღია. თვითონ გახლდით მოწმე 2-3 საათის წინათ როგორ დაბომბეს გორში ტერიტორია. ეს არის პირდაპირი აგრესია. საქართველო ერთიანი უნდა იყოს რუსი აგრესორების წინააღმდეგ და დარწმუნებული ვართ, არავითარ შემთხვევაში ომს არ წავაგებთ.

**პარლამენტის ბიურომ მიმართვები მიიღო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისა და საერთაშორისო თანამეგობრობისადმი.**

**პირველ მათგანს დღეს გთავაზობთ.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

თვალსაზრისი

# საქართველოს პარლამენტის მიმართვა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების სისტემატური მცდელობისა, დიალოგისა და მოლაპარაკებების გზით შექმნილიყო პირობები კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად, კოკოითის სეპარატისტული რეჟიმი და მისდამი დაქვემდებარებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებები მიზანმიმართულად ცდილობდნენ სიტუაციის გამწვავებასა და დაძაბვას. ბოლო დროს მათ მიერ განხორციელებული ქმედებები ცალსახად უნდა შეფასდეს, როგორც შეიარაღებული აგრესია საქართველოს სახელმწიფოსა და, პირველ რიგში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიმართ. უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცეცხლი გაუხსნეს მშვიდობიან მოსახლეობას და მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობდა საპასუხო ცეცხლის გახსნაზე, გააგრძელეს მშვიდობიანი მოსახლეობის ტერორი და მასირებული დაბომბვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, მიიღოს ყველა ზომა, რათა რეგიონში დაცული იქნას მშვიდობიანი მოსახლეობა, გაიწმინდოს ტერიტორია უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისაგან და შეიქმნას აუცილებელი პირობები მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარებისათვის.

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების ურყევ ნებას, ააშენოს ერთიანი, დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც გარანტირებული იქნება ყველა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს რეგიონის ოსი ეროვნების მოქალაქეებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ერთიან ქართულ სახელმწიფოში მათ გარანტირებული ექნებათ უფლებებისა და თავისუფლებების სრული სპექტრი, მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფილი იქნება მათი თვითმყოფადობის დაცვა და განვითარება, ექნებათ ყველა აუცილებელი პირობა კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების რეალიზაციისათვის.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს რეგიონის მოსახლეობას, შეინარჩუნონ სიმშვიდე და არ მიიღონ მონაწილეობა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ ინსპირირებულ სამხედრო მოქმედებებში.

საქართველოს პარლამენტი გამოხატავს რწმენას, რომ უახლოეს მომავალში რეგიონში აღსდგება მშვიდობა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის შეიქმნება ყველა პირობა მშვიდობის, განვითარების, სტაბილურობისა და ღირსეული ცხოვრებისათვის.

ერიჰა!

# „აფთარი“ და ყველასაგან ნაღალატევ-მიტოვებული კოკოითის მიმართვა

**ინტერნეტგამოცემა „ოსინფორმმა“ ედუარდ კოკოითის თანამემამულეებისადმი მიმართვა გაავრცელა.**

„ძვირფასო დებო და ძმებო! ეს მე ვარ, თქვენი პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი და მოგმართავთ თქვენ, ჩემო ძვირფასებო. ამჟამად მთავრობის სახლის სამალავში ვიმყოფები და ჩემს ახლოს ჭურვები ფეთქდება. მეზობელ შენობას სახურავი მოძვრა, მაგრამ მე არ მეშინია. მე კვლავინდებურად ჩემი არმიის მხარდამხარ ვიბრძვი და მებრძოლების საბრძოლო სულს ვამაღლებ.

ყველას, ვისაც გზები დაკეტილი არა გაქვთ, მოგმართავთ, მოხვიდეთ და დაიცვათ თქვენი საყვარელი პრეზიდენტი და მეგობარი. მე გამომწყვდეული კავკასიური აფთარი ვარ, რომლის მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ მე ჯერჯერობით ძალა მაქვს და ჩემი ძალა სწორედ თქვენშია, ჩემო ძვირფასებო.

ჩვენ უკვე 36-ჯერ მოვიგერიეთ მტრის შემოსევა და საქართველოს ხელისუფლების ბოროტი გეგმა ჩავშალეთ, გავანადგურეთ 700-ზე მეტი მოწინააღმდეგის სამხედრო ჯავშანმანქანა, ჩამოვაგდეთ 154 თვითმფრინავი.

მტერი ათასობით დანაკარგს ითვლის. როდესაც საქმე დახმარებაზე მიდგა, აღმოჩნდა, რომ არავინ არ გვეხმარება. აფხაზებმა უბრალოდ გვიღალატეს და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება არ შეასრულეს, გვიღალატეს ასევე რუსებმა, პუტინმა ოლიმპიადაც კი არ გადადო და საგანგებო მდგომარეობაც კი არ გამოაცხადა.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მიშველოს მე, რუსეთის მოქალაქეს და დამიცვას მზაკვრული აგრესიისგან.

ყველაფერი ცუდი, რასაც ჩემზე ამბობენ სიცრუეა. მე ყოველთვის ვიყავი პატიოსანი, კეთილი და გულისხმიერი პრეზიდენტი და კარგი მეგობარი.

თქვენ იცით, რომ ჩემს გარდეროზში მხოლოდ ერთი გამოსასვლელი კოსტიუმი და სამხედრო ფორმაა. მე ყოველთვის მზად ვიყავი ყველაფერი სხვებისათვის დამერიგებინა. სწორედ თქვენთვის, ჩემო ძვირფასო თანამემამულეებო, მე არ მქონდა მოსვენება და ოჯახური ბედნიერება. ნახევრად მშიერმა გავატარე ჩემი ცხოვრება, იმიტომ რომ ჩემთვის ყოველთვის იყო მთავარი თქვენზე, ჩვენს რუსულ სახელმწიფოებრიობაზე ზრუნვა.

ნართები არ ბარდებიან, ისინი გალიაში ცხოვრებას სიკვდილს ამჯობინებენ. მე უკვე შემოკრული მაქვს რამდენიმე ყუმბარა და ჩემს საათს ველოდები, როდესაც ქართული ტანკის ქვეშ შევარდნას შევძლებ. ჩემს ძალით გაყვანას ცდილობენ რუსეთში და რომც გავემგზავრო, მაინც თქვენთან ვარ თქვენი მზრუნველი პრეზიდენტი!“

**ჯი-ეიჩ-ენი**

**რედაქციისგან: დაგვეთანხმებით, კომენტარი ზედმეტიაო, ალბათ, სწორედ ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი. კოკოითის აფთრობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იგი აგონიაში რომ არის ჩავარდნილი და ლამის ბოდავს, ფაქტია. ერთილაა საინტერესო: რუსეთში გაძურწული „აფთარი“ „მთავრობის სასახლის“ სარდაფში როგორღა იმალება? თუმცა აქვე მეორე საინტერესო კითხვაც ჩნდება: რუსეთში თავისი „დედისერთა“ კოსტიუმით ან სამხედრო ფორმით გაიპარა, თუ ქალის კაბაში გადაცმული?**

რას ფიქრობს ხალხი

# თავგასულმა სეპარატისტმა საკადრისი პასუხი უნდა მიიღოს

***რას ფიქრობს ხალხი რუსების მიერ წაქეზებულ-მხარდაჭერილი ოსი სეპარატისტების გამოისობით სამაჩაბლოში დაწყებულ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით და როგორია მისი პოზიცია? — ამის გასაგებად გუშინ თბილისის ქუჩებში ჩვენს მოქალაქეებს გამოველაპარაკეთ. შექმნილი უკიდურესად მძიმე ვითარების გამო საქართველოს მოსახლეობის პოზიცია ერთსულოვანია. ისინი თვლიან, რომ ამ ეტაპზე პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებითაა შესაძლებელი, რადგან სეპარატისტული რეჟიმის მესვეურები ქართულ მხარეს სხვა გამოსავალს არ უტოვებენ.***

***გთავაზობთ გამოკითხვის შედეგებს:***

— **როლანდ გუნცაძე, ინჟინერი:** სამწუხაროა, რომ ჩვენს ისტორიულ მოკავშირებთან, ძმებთან — ოსებთან იარაღით გვიწევს ურთიერთობის გარკვევა, მაგრამ ეს არ არის ჩვენი ბრალი, არც ოსი ხალხის ბრალია... ყველაფერში სეპარატისტული რეჟიმია დამნაშავე, რომელიც მესამე მხარის, რუსეთის უშუალო დაკვეთას ასრულებს. მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ვამართლებ იმას, რასაც ქართული მხარე აკეთებს, იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ დაგვიტოვეს... სეპარატისტული რეჟიმის დასამხობად საომარი მოქმედებები უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო.

**ამირან ჩხეიძე, ეკონომისტი:** ოს ხალხთან გასაყოფი არაფერი გვაქვს, მაგრამ ხალხს ვინ ჰკითხავს, როგორ განვითარდება მოვლენები?! თუ ოსეთში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაიწყება, მოსახლეობა გაწყდება და სისხლი დაიღვრება, თუმცა სისხლი უკვე დაიღვარა, მთელი პასუხისმგებლობა რუსულ მხარეს დააწვება, ყველაფერი მათ სინდისზეა...

**დალი მაღლაკელიძე, პედაგოგი:** ომისგან ღმერთმა დაგვიფაროს, ახალგაზრდები გაწყდებიან, ჩვენი მხრიდანაც და მათი მხრიდანაც... არც რუსებთან გვინდა მტრობა, მაგრამ მათ ჩვენი მოსმენაც არ უნდათ. სამწუხაროდ, ერთადერთი გზა, ჩვენი ტერიტორიების დასაბრუნებლად, ომია. ღმერთის იმედი მაქვს, არა მგონია გაგვწიროს.

**ვანო კიკვაძე, სტუდენტი:** მე მეგობრები მყავს ოსები. ძალიან კარგი ხალხია, მათთან ომი და სისხლისღვრა ნამდვილად არ გვინდა, არც იმათ უნდათ, მაგრამ კოკოითის რეჟიმი ასე არ ფიქრობს, ის ვერ ეღირსება თავისას, ყველამ კარგად იცის, თავქუდმოგლეჯილმა რომ დატოვა ცხინვალი, მისი საქმე წასულია...

**მირანდა ამირეზაშვილი, ბიოლოგი:** არა მგონია კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს, სამწუხაროდ, ამ ბოლო დღეებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სამხედრო დაპირისპირება გარდაუვალია. ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენ დასაკარგი მიწები არ გვაქვს...

**ლადო სიგუა, გეოლოგი:** ომი თუ უნდათ, მიიღებენ კიდეც, რა ჰგონიათ, უსიტყვოდ დავემორჩილებით?! ჩემი ორი შვილი ცხინვალშია და მომხდურს ებრძვის, თუ საჭირო გახდება, მეც წავალ, მიუხედავად ჩემი ასაკისა.

**დასასრულ, ვფიქრობ, ორიოდე სიტყვა ახალი მემარჯვენეების მიერ გაკეთებულ განცხადებაზეც უნდა ითქვას: დავით გამყრელიძემ ოპოზიციას ერთსულოვნებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ახლა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კინკლაობის დრო არ არის. მივესალმოთ მის მოწოდებას... ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველა იმ ქართველს, ვინც პირად ინტერესებზე მაღლა ქვეყნისას აყენებს.**

**ჯაბა ჟვანია**

მიმართვა

# პრემიერი მოქალაქეებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ გურგენიძემ საქართველოს მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდა.**

ჩვენ ბუნებრივია ვრჩებით იმ პოზიციაზე, რომ კონფლიქტის მოგვარებას სჭირდება დიალოგი, სჭირდება მოლაპარაკებები. ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ვდგავართ იმ პოზიციაზე, რომ სამხრეთ ოსეთს ექნება ევროპული სტანდარტის ფართო ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში. ასევე შეგახსენებთ იმას, რომ პრე-



ზიდენტმა შესთავაზა ამნისტია ოს სეპარატისტებს. ამ ეტაპზე სამთავრობო ძალები ახორციელებს იმ ქმედებებს, რომ შესაძლებელია გახდეს აი ასეთი მშვიდობიანი სიტუაციის აღდგენა იმისათვის, რომ აღარ შეექმნას იმ რეგიონის მოსახლეობას არანაირი საფრთხე არც ერთი უკანონო სამხედრო ფორმირებისაგან. ჩვენ ვაწარმოებთ ქმედებებს იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული კიდევ უფრო მასიური შემოდინება ე.წ. მოხალისეებისა ჩვენს ტერიტორიაზე.

მე უნდა მივმართო ჩვენს მოქალაქეებს, რომ პატრიოტიზმის უმაღლესი გამოვლინება იქნება სიმშვიდის შენარჩუნება. ვაკეთოთ ჩვენი საქმე, ცხოვრება გრძელდება, ის სამთავრობო ძალები, რომლებიც ამ ქმედებებში არიან ჩართულნი, თავიანთ ვალს ასრულებენ იმისათვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს სამხრეთ ოსეთში ჰქონდეთ საშუალება მშვიდობიანი ცხოვრების. დღეს არის ჩვეულებრივი სამუშაო დღე ყველა მიმართულებით, — განაცხადა გურგენიძემ.

მიუხედავად ჩვენი მცდელობებისა, მიუხედავად იმ სამშვიდობო ინიციატივებისა, რომლებიც გუშინ საღამოს გაახმოვანა საქართველოს პრეზიდენტმა, სეპარატისტებმა ცეცხლის გახსნით უპასუხეს, რითაც კიდევ უფრო სერიოზული საფრთხე შეუქმნეს მშვიდობიან მოქალაქეებს. ასევე განახორციელეს თავდასხმა სხვადასხვა მიმართულებით და შეეხნენ რუსი სამშვიდობოების კონტიგენტს. ამას გარდა, ჩვენთვის ცნობილია ის, რომ ღამე იყო დაფიქსირებული შემოდინება ე.წ. მოხალისეებისა როკის გვირაბიდან. ამ ფონზე და ამ ვითარებაში და სეპარატისტების ამ ქმედებების შედეგად ჩვენ იძულებულნი გავხდით, რომ სამთავრობო ძალებს დაეწყოთ ქმედებები მშვიდობის დასამყარებლად ამ რეგიონში და იმისათვის, რომ იმ რეგიონის მშვიდობიან მოსახლეობას, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა შეექმნათ საშუალება და მყარი გარანტიები მშვიდობიანი ცხოვრებისა. ეს ქმედებები ამჟამადაც გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენ არ მივაღწევთ ამ საწადელს, მიზანს, — განაცხადა გურგენიძემ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

პოზიცია

# ვიმედოვნებთ, რომ მშვიდობა შენარჩუნდება

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს განცხადება

საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის კეთილ ნებას, ცალმხრივად ცეცხლის შეწყვეტას და თხოვნას რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით დაუყოვნებლივ დაწყებულიყო მშვიდობიანი მოლაპარაკება, ცხინვალში მოკალათებულმა სეპარატისტებმა და ჩრდილოეთიდან შემოყვანილმა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყებით უპასუხეს. სამწუხაროდ, ქართული მხარე იძულებული გახდა, მიეღო გადამწყვეტი ზომები.

სამშობლოსთვის ამ მძიმე ჟამს, როცა საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება დაუფარავი აგრესია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო მოუწოდებს აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას სრულიად საქართველოს კონსოლიდაციისკენ, სამსახურებრივი, კონსტიტუციური და მამულიშვილური ვალის პირნათლად მოხდისკენ, რათა ერთობლივი ძალისხმევით საკადრისი პასუხი გავცეთ მტერს, ქართველი და ოსი ხალხების სასარგებლოდ სამუდამოდ დავასრულოთ უცხო ქვეყნის მიერ თავსმოხვეული სისხლიანი კონფლიქტი.

აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გააკეთა პროვოკაციული და დანაშაულებივი განცხადება ცხინვალის რეგიონში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ნაწილების წინააღმდეგ 1000 მებრძოლის გაგზავნის თაობაზე.

დღეს, როდესაც საქართველოში, ცხინვალის რეგიონში უკიდურესად დაძაბული ვითარების ფონზე აშკარა ხდება თუ ვინ ვინ არის, შევახსენებთ ჩვენს ძმებს აფხაზებს იმ საუკუნოვანი მეგობრობის თაობაზე, რომელიც გვაკავშირებს და იმასაც, რომ მომავალში ერთად უნდა ვაშენოთ აფხაზეთში მშვიდობა და ბედნიერი მომავალი.

იმედს ვიტოვებთ, რომ გაკეთდება სათანადო დასკვნები შენარჩუნდება მშვიდობა და შესაძლებელი გახდება დამატებითი დაძაბულობის თავიდან აცილება.

**„აფხაზეთის მედია-ცენტრი“**
**8 აგვისტო 2008 წელი.**

განსჯა

*აღარც მახსოვს, როდის ვუყურე ასეთი კარგი განწყობით „კურიერს“.*

*მიზეზი კი კოკოითის მიერ „შემოდგომის ბუზის კბენის“ მსგავს „გამოხტომაზე“ საქართველოს ხელისუფლების რეაქცია და მის მიერ გატარებული ზომები იყო.*

*ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების შესახებ საკმაოდ ბევრს იმსჯელებენ სხვადასხვა დონის სპეციალისტები თუ ექსპერტები, მაგრამ დღეს ისმება სრულიად ლოგიკური კითხვა: რამ აიძულა „ჯაბაევიჩი“ გადაედგა თავისი რეჟიმის გამანადგურებელი ნაბიჯი“?*

*ამ კითხვაზეც პასუხების მრავალი ვერსია იქნება. გთავაზობთ სხვადასხვა ფაქტების შეჯერებით მიღებულ ერთ-ერთ პასუხს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ე. წ. პრეზიდენტის აბსოლუტურად უაზრო და არალოგიკურ ნაბიჯზე.*

# შემოდგომის ბუზის უკანასკნელი კბენა

1. დაახლოებით ერთი წლის წინათ რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ კოკოითმა და მისმა თანამებრძოლებმა დაახლოებით 200 მილიონი რუბლი „შესანსლეს“ და რუსული ფულის ამ „უპრაგონო ხარჯვით“ საკმაოდ სერიოზულად დაინტერესდნენ ძალოვანი სტრუქტურები.

2. კოკოითმა ბოლო დღეებში საკმაოდ უცნაური და არაადეკვატური „სვლები“ განახორციელა (მაგ: ბავშვების „გახიზვნა“, და ა. შ.ძ.

3. მისი ქმედებები რუსეთის მიერ ლარსის გამშვები პუნქტის აღდგნის ფონზე მიმდინარეობდა.

4. რუსმა „მირატვორცებმა“ განაცხადეს, რომ ისინი ვერ აკონტროლებენ სიტუაციას.

ამ და სხვა მრავალ ფაქტზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოკოითის „დღეები დათვლილი“ იყო. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი თანახმა იყო ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენაზე. სავარაუდოდ კოკოითის შეცვლა იყო დაგეგმილი.

სწორედ ამიტომ საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით, კოკოითი „იძულებული“ გახდა სამხედრო ესკალაციაზე წასულიყო, რითაც შეეცადა რუსეთის პროვოცირებას და მის კონფლიქტში ჩათრევას (ამ შემთხვევაში კოკოითი დაემსგავსა ისეთ კაცს, რომელსაც საკმაოდ ღონიერი დამცველი ჰყავდა, მაგრამ მან იმ თავის დამცველთანაც რაღაც-რაღაცეები „მიჰქარა“. მისი რისხვის თავიდან აცილების მიზნით ეს კაცი ჩხუბს იწყებს, რითაც ცდილობს თავისი დამცველი ჩაითრიოს ამ ჩხუბში, რადგანაც ჰგონია, რომ 1. ჩხუბში მასზე გაბრაზება გადუვლის და შეურიგდება, 2. არეულობაში შეძლებს და სადმე გაიქცევა, 3. დასჯის დროს გაწელავს.

მთავარი კი ის არის, რომ კოკოითს რა გეგმებიც არ უნდა ჰქონდეს, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ აუცილებელი და ყველა ქართველისთვის სასურველი ზომების გატარების და სასურველი შედეგის მიღწევისათვის შესანიშნავი საბაბი მოგვეცა.

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება, რომელიც სეპარატისტების „გაფართხალებას“ მოჰყვა, ძირფესვიანად განსხვავდებოდა სხვადასხვა პროვოკაციების შემდეგ გაკეთებული განცხადებებისგან.

პრეზიდენტი იყო მშვიდი და საკუთარ ძალებში აბსოლუტურად დარწმუნებული. მის გამოსვლაში მშვიდობიანი მოლაპარაკებების გაგრძელების სურვილის პარალელურად, აშკარად ჩანდა, რომ სეპარატისტთა „ჩვეული ჭირვეულობის“ გამოვლენის შემთხვევაში ადეკვატური ზომები გატარდებოდა. აშკარად ჩანდა, რომ პრეზიდენტს აქვს მოქმედების გეგმა და მისი განხორციელების საშუალება.

ეს გამოსვლა ნამდვილად კარგი და იმედიანი გამოსვლა იყო.

პრეზიდენტის გამოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ ქართული ჯარების მიერ სეპარატისტების ე.წ. სამხედრო ფორმირებებისგან განთავისუფლდა ცხინვალის შემოგარენი.

საოცარია, მაგრამ რუსული მედიის წარმომადგენლები „დროს უსწრებდნენ“ და საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე ძალიან სასიამოვნო ინფორმაციებს ავრცელებდნენ.

როგორც ჩანს ოს სეპარატისტებს და მათს მფარველებს მაგარი „იალღიში“ მოუვიდათ, რაც გვიან ღამით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში „კავკასიის საკითხების სპეციალისტთა“ საგანგებო შეკრების შემდეგ გაკეთებულმა განცხადებამ დაადასტურა.

ბაზეა დამოკიდებული იმ ჭრილობის მკურნალობა, რომელსაც სამაჩაბლო ჰქვია.

ხელისუფლებამ უკან არ უნდა დაიხიოს და ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე, მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით ჩვენი ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტურად სწორი და, რაც, მთავარია ღირსეული ღონისძიებები ხორციელდება.

ახლა ჯერი ჩვენს ხელისუფლებაზეა, რადგანაც საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვეულებისამებრ „აფუთფუთდნენ“ და მაშინვე „დიალოგისა“ და „კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისკენ“ მოგვიწოდეს.

გაეროს გენერალური მდივნის განცხადება, რომელიც „შესაშური ოპერატიულობით“ გავრცელდა,



„კავკასიის საკითხთა სპეციალისტების“ მიერ გაკეთებული განცხადება იყო დაბნეული და სიტუაციის მიმართ არაადეკვატური, ხოლო საქართველოს მიმართ მუქარის ფორმა კი — ძალიან სასაცილო. ისინი „აგრესორ საქართველოს“ ნატოში გაწევრების პროცესში ხელის შეშლით დაემუქრნენ და რატომღაც არ გახსენებიათ რუსეთის „კანონიერი“ უფლება, დაიცვას კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის მოქალაქეები.

კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი:

გაეროში რუსეთის წარმომადგენელმა, ბატონმა ჩურკინმა გაეროს გენერალურ მდივანთან გვიჩივლა და უშიშროების საბჭოს მოწვევა მოითხოვა (მაგარი გვარია ჩურკინი!ძ.

ერთი ფრაგმენტი გამახსენდა ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მე ვხედავ მზეს“.

ქეთო მასწავლებელი სამათხოვროდ მოსულ გერმანელ ჯარისკაცებს უკანასკნელ ჭადის ფქვილს გამოუტანს. მშიერ, გაბრაზებულ და გაოცებულ სოსოიას კი ეუბნება: „ომი გათავდა სოსოია, რაკი იმას ვედირსეთ, რომ გერმანელი ჯარისკაცი მათხოვრად მოვიდა და პური გვთხოვა, გათავებულია ომი!“

ჩურკინმა პან გი მუნთან გვიჩივლა.

ახლა ჯერი ჩვენს ხელისუფლებაზეა.

ნამდვილად ჩვენს ხელისუფლე-

ჩურკინის სამდივნოში დაწერილი განცხადებების სტილში იყო გაკეთებული (ალბათ ფურცელსაც ჩურკინის პირადი მდივნის სურნელი ასდიოდაძ.

(მაპატიე ძვირფასო მკითხველო, ასე ხშირად რომ ვახსენებ ჩურკინს, მაგრამ მე რუსეთში ექვსი წელი ვცხოვრობდი და „ჩურკინზე“ მაგრად მეცინებაძ.

„რაღა დაგიმალოთ და“, ვერ გავიგე რომელია ჩვენი მეგობარი?

ის, ვინც „დიალოგებით“, „მშვიდობიანი მოლაპარაკებებით“, ათასგვარი „რეზოლუცია-რეკომენდაციებით“ და სხვადასხვა ფორმის „მოწოდებებით“ 60 წელია ისრაელ-პალესტინის და 25 წელია კვიპროსზე არსებულ საბერძნეთ-თურქეთის კონფლიქტებს „აგვარებს“ (იუგოსლავიაზე, მრავალ აფრიკულ ქვეყანაზე, ფოლკლენდის კუნძულებზე და თუნდაც სპარსეთის ყურეზე რომ არაფერი ვთქვაძ და ვერ მოუგვარებია, თუ „კავკასიის საკითხთა დაბნეული სპეციალისტები“ და ჩურკინი?

იმედი მაქვს, რომ აღარ იქნება სხვადასხვა სახის „მონიტორინგები“, „შერეული“, თუ „შეურეველი“ კომისიები და ქართულ სახელმწიფოს ეს პატარა, მაგრამ სისხლხორცეული ნაწილი ღირსეულად დაუბრუნდება.

ღმერთმა ქნას.

**გია გაბრიჭიძე**

**განამარხებული სიმართლე**

„... ბერიას რა თანამდებობაც არ უნდა სჭეროდა, ის მუდამ აშენებდა“.

იური მუხინი

# როცა ქართველობა ერთადერთ მთავარ დანაშაულად იქცა...

## და მადლი როგორ გახდა მატლი

***უკეთუ უძველეს წარსულში სადმე, ჩვენი მიწა-წყლის გარეთ, მეტ-ნაკლებად საჩინო მავანი ქართველის კვალი გაკრთა, ის კვალი უმალ თავმოსაწონებელი ამბავი ხდება თითოეული ჩვენგანისათვის, უფრო ზუსტად, მამულიშვილურად თავმოყვარეობა-აგზნებული ყოველი ქართველისთვის. ხშირად ბევრს ეგრევე ქართლის (იბერიის) მეფის ფარსმან მეორის მაგალითი მოჰყავს, რომელიც იმპერატორ ანტონიუს პიუსის მიწვევით ოჯახითა და იბერთა დიდებულების თანხლებით მეორე საუკუნის 50-იან წლებში რომს ესტუმრა, სადაც იბერთა პატივსაცემად ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკება აღმართეს. ბევრსაც დაუდ-ფაშა გურჯი ეამაყება, ერაყის უკანასკნელი მამლუქი გამგებელი, ანდა დაუდ-ხანი, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა დიდ მოურავთან და მარტყოფის აჯანყების მომზადებაში იყო გარეული...***

ეს რაც შეეხება წარსულს, თანაც ძალიან შორეულს. მაგრამ რაც უშუალოდ ჩვენ თვალწინ მოხდა, აგერ, წინა საუკუნეში, ბევრი რამ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, შავ პოლიტიკურ ნისლშია გახვეული. თუმცა ისიც ხშირად ხდება, რომ რაც თვალებთან ძალიან ახლოა, საკუთარი წამწამებისა არ იყოს, სწორედ იმას ვერა ვხედავთ და მხოლოდ მერეღა, უკვე დროის გადაწმენდილ სარკეში ვაცნობიერებთ. ეს კი, რასაკვირველია, უკვე მომხდარისა და გარდასულის კვალდაკვალ სწორად გაანალიზების აშკარად ჩვენივე უუნარობით უნდა ავხსნათ. არადა, დიახაც ამ ჩვენი ავბედითი უუნარობისა თუ სხვათა ფეხის ხმას ავად აყოლილობის ბრალია, რომ ამდენი ხანი ბოროტად გამიზნული პროპაგანდისტული ობობას ქსელში ვართ გახლართულნი და, ვითარცა თუთიყუშნი, მხოლოდ და მხოლოდ იმას ვიმეორებთ, რასაც ეგრეთ წოდებული ცრუანალიტიკოსები უკვე მზამზარეულს გვთავაზობენ სიძულვილსა და სიცრუეში შეფუთულს, ოღონდ ყალბი, ანგარებიანი ისტორიზმით ოდნავ „შემტკბარსა“ და ეროვნულად „ადვილმოსანელებელს. ალბათ, უწინარესად, უთუოდ ამითაც უნდა აიხსნას, რომ წარსული ბევრად უფრო სწრაფად იცვლება „უკეთესობისაკენ, ვიდრე აწმყო...

მაგრამ, საბედნიეროდ, ისეთი ადამიანებიც არიან, სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის ბრძოლის თანდაყოლილი გამძაფრებული ჟინისანი, რომელთაც ბოლოსა და ბოლოს თვითონ დრო უწერთ, რომ თავადაც თავი დააღწიონ სიძულვილის დვრიტაზე შედედებული სიცრუის შხამიან ობობას ქსელს და სხვათა მრავალთა საკუთრებაც გახადონ უტყუარი ისტორიული სიმართლე, მავანთაგან განგებ „დროის მიწას“ ამოფარებული და „განამარხებული“ (აქ, ცხადია, ისტორიის ავანტიურისტ გამყალბებელთა მიერ სტრატეგიულად განადგურებული არქივები იგულისხმება) ეს ადამიანები თავისებური არქეოლოგები არიან, ოღონდ მიწას კი არა, დროს „თხრიან“ და ბოროტ კაცთა ნაავკაცარს მზესა ჰფენენ. ამ თავისებურ არქეოლოგთა დასტურ თვალადსაჩენი დამსახურება ის არის, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ მკაცრ ფაქტებზე დაყრდნობით ქმნიან მავანთა და მავანთაგან სათავისოდ გადაწერილ-გადმოწერილი ჩვენი გუშინდელი დღის ერთობ რთულ მოვლენათა უტყუარ სურათს, რომელსაც არცრა საერთო არა აქვს რა არც პოლიტიკურ კონიუნქტურასთან და, მით უმეტეს, არც იაფ სენსაციებთან.

ასეთი, დროში დამარხული სიმართლის მაძიებელნი, გამონაკლისის სახით, ჩვენშიც არიან, საქართველოში, კანტიკუნტად, და, რაც ბევრად უფრო საგულისხმო და მრავლისმეტყველია, ამ ბოლო ხანს გვარიანად მომრავლდნენ უცხოეთშიც, მეტადრე კი რუსეთში, სადაც ზოგთაგან ეგრეთ წოდებულ „საეჭვო რევოლუციად“ მონათლული 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რომანოვების სამასწლოვან ტახტზე პირველ კაცად ქართველი აღმოჩნდა, რომელმაც რამდენიმე სხვა ქართველთან ერთად (რა თქმა უნდა, იქ იყვნენ რუსებიც, ებრაელებიც და სხვებიცძ, თუ ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მეოცესაუკუნელი ბრიტანელის სიტყვებს გავიმეორებთ, შექმნა და თავის ნებას დაუმორჩილა უზარმაზარი იმპერია, დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული, და მტერი თავისივე მტრის ხელით გაანადგურა, იმნაირებს კი „ისტორია და ხალხები არ ივიწყებენ“.

არ ივიწყებენ, მაგრამ ვისთვის უპატიებიათ სხვათა ქვეყნის ტახტზე ჯდომა, თანაც მთელი ოცდაათი წელიწადი, რომ ქართველისთვის ეპატიებინა დიდმპყრობელური შოვინიზმით „გალიცლიცებულ“ რუსეთს, რომელიც ამ ქართველმა, ისევ ზემოთ ხსენებული ბრიტანელის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ულატაკესი ჩაიბარა და „საბოლოოდ ატომური იარაღით აღჭურვა!“

უზარმაზარი იმპერიის ეს ატომური აღჭურვა კი ისევ და ისევ უშუალოდ მეორე ქართველის მართლაც რომ არადამიანური ძალისხმევით მოხერხდა. მაგრამ ამ მეორე ქართველს, პირველ ქართველისთვის, ყველა დროის „სწორუპოვარი დიქტატორისთვის“, სასიკვდილო ანგარისწორების შემდეგ კვლავ „იმპერიის კენწეროზე“ დარჩენის საშუალება არ მისცეს, რათა ერთხელ და სამუდამოდ ამოეკვეთათ დიდმპყრობელურ რუსეთში „უცხო თესლის გასაგისი“.

ამას ყველაფერს კი, ცხადია, პოლიტიკური გამართლება უნდოდა. თუმცა მესიმინდე ხრუშჩოვი, პირწავარდნილი რუსი შოვინისტი და ტროცკისტი, „უცხო თესლის“ წინააღმდეგ თავის ჯვაროსნული ომის ნამდვილ მიზეზს ხომ არ გაამჟღავნებდა! და ეგრეთ წოდებული მეოცე ყრილობის კვალდაკვალ გაჩნდნენ მედასტურე-კვერის დამკვრელები – ვოლკოგონოვები, ანტონოვ-ოვსეენკოები, რაძინსკები და კიდევ სხვანი მრავალნი, ნაციონალისტ-პროვოკატორები, რომელნიც თავიდან ბოლომდე გასცა ტროცკისადმი პატივისცემის უნებურმა ტონმა და რომელთაც ნაპირებიდან გადმოიყვანეს ზიზღიანი ჭორჭურის ბინძური მდინარეები. ამ რუს ნაციონალისტთა მედასტურე-კვერის დამკვრელებმა კი იმდენ ხანს იმეორეს თავიანთი „ცხელ-ცხელი“ ზღაპრები, სანამ თავიანთ აშკარად მტრულ ნაბოდვარს ბევრი გულუბრყვილოსა თუ გამიამიტებულის თვალში „ჭეშმარიტების სტატუსი“ არ შესძინეს.

მაგრამ ყოველგვარ სიცრუეს, ამას ფიცი და მტკიცი არ სჭირდება, თავისი გარკვეული სიბრძნეც ახლავს. სწორედ ამ სიცრუეში ჩამარხულმა სიბრძნემ, უფრო ზუსტად, სიბრძნემ სიცრუისამ, ამხილა სტალინის შემდგომი ხელისუფლების პოლიტიკური უსუსურობა, ცილისმწამებლური სახე და ადამიანური სიმდაბლე, რაც, მთელი ხელისუფლების ხელში ჩაგდების ავადმყოფური წყურვილის გარდა, ზემოხსენებული „უცხო თესლის“ ძირფესვიანად ამოძირკვას ისახავდა საბოლოო მიზნად.

და სწორედ სტალინისა და ბერიას პიროვნებათა ამ მრავალწლიანი ტოტალური დემონიზაციის ადიდებულ სიცრუეში დაიწყეს სიბრძნის, ანუ სიმართლის, ძებნა სხვა რუსმავე ისტორიკოსებმა, მწერლებმა, ჟურნალისტებმა, ბევრმა მართლაც მიუკერძოებელმა და კეთილსინდისიერმა ადამიანმა, რომელთაც ბოლოს და ბოლოს დაინახეს, რომ სინამდვილეში ყველაფერი ბევრად უფრო რთულად იყო, ვიდრე ამას ზოგიერთი ბოროტი მეზღაპრე და იგავთმთხზველი წარმოაჩენდა.

და დაიწყო საზოგადოებრივი შეგნების გამოსაფხიზლებლად მეტად საჭირო პროცესი. ადამიანები, ბევრი გულუბრყვილო და მიამიტიც კი, გონს მოეგნენ. ნაბეჭდ სიტყვას, ისტორიულ შრომებსა თუ ნაკლებსარწმუნო მემუარებს, უფრო მეტი ეჭვით მოეკიდნენ, უკვე ძველებურად მისტიკურ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდნენ დასტამბულ სიტყვას, თანდათან „გაბერწყდა“ ის დრო, როცა ყველაფერს უკრიტიკოდ იჯერებდნენ, რაც ქაღალდზეა დაწერილი. ბევრი იმასაც მიხვდა, რომ ქაღალდს, სამწუხაროდ, სირცხვილისგან გაწითლების უნარი არა აქვს...

ამ პროცესს კი დიდად შეუწყო ხელი ამ ბოლო წლებში თვით რუსეთშივე გამოცემულმა არაერთმა წიგნმა, რომელთა შორის იური მუხინის წიგნზე (**„ხრუშჩოვი სტალინისა და ბერიას მკვლელი“**) რომ აღარაფერი ვთქვათ, უნდა გამოვარჩიოთ მოსკოველი იურისტის **ანდრეი სუხომლინოვის „ვინა ხართ თქვენ, ლავრენტი ბერია?“** თავიდან ბოლომდე მეტ-ნაკლებად მიუკერძოებელი! პეტერბურგელი ჟურნალისტის ელენე პრუდნიკოვასა და პეტერბურგელივე ისტორიკოსის **ალექსანდრე კოლპაკიდის „სტალინური რეპრესიების საიდუმლოებანი“**; ისევ **ელენე პრუდნიკოვას „სტალინის უკანასკნელი რაინდი“** და **„ბერია. დანაშაულები, რომლებიც არ ყოფილა“** და განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მოსკოველი ისტორიკოსი ჟურნალისტის **სერგეი კრემლიოვის „ბერია. XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“**, რომელიც გამოცემულია სერიით – **„სტალინი, დიდი ეპოქა“**, საიდანაც მალე რამდენიმე ამონარიდს შევთავაზებთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს.

ყველა ამ წიგნის, მეტადრე ს. კრემლიოვის ჟურნალისტური გამოძიების, დედააზრი ერთია:

ეგრეთ წოდებული „ბერიას საქმე“ თავიდან ბოლომდე ფალსიფიცირებულია, ამ „საქმეში“ არც ერთი სიტყვა არ არის მართალი და უკლებლივ ყველა ბრალდება თითიდან არის გამოწოვილი (ერთ-ერთ თავს ს.კრემლიოვის წიგნში ასეც ეწოდება: „ბერიას საქმე – აფსურდების თეატრი“ძ.

ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ სსრ კავშირში მოხდა კლასიკური სახელმწიფო გადატრიალება. კერძოდ, 1953 წელს პარტიული ზედაფენა შეიჭრა უმაღლეს ხელისუფლებაში, უკან გადასწია ის ადამიანები, ვისაც უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში უმთავრესად ეყრდნობოდა ი.სტალინი. სწორედ მაშინ დამყარდა პარტიული დიქტატურა და გაუნათლებელთა მმართვე-

ანონსი




სამშაბათიდან – 12 აგვისტოდან
„საქართველოს რესპუბლიკა“
თავის მკითხველთ შესთავაზებს რამდენიმე
ვრცელ ამონარიდს რუსი ავტორის
სერგეი კრემლიოვის ახლახან გამოცემული
800-გვერდიანი ჟურნალისტური
გამოძიება-ბესტსელერიდან,
რომლის მთავარი გმირია
უცნობი ნაცნობი
მარშალი ლავრენტი ბერია –
XX საუკუნის
საუკეთესო მენეჯერი

## ◎ განამარხებული სიმართლე

ლობამ, ხეპრე ხრუშჩოვის მეთავეობით, სწორედ მაშინ, ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გვერდის ავლით, დახვრიტა სიახლემოწყურებულთა ლიდერი ლავრენტი ბერია, რომელსაც, თავისი სამომავლო გეგმების გამო, თან ისე მწარედ, საიმედოდ და საზიზღრად დასწამეს ცილი, რომ ბევრის გულსა და გონებაში დღემდე იგრძნობა ძველი სიცრუის, ცილისწამებისა და ბოროტი ზღაპრების გამოძახილი... („ლენინგრადის საქმე“, „ექიმების საქმე“, კიროვის მკვლელობა. ის კი არა, როგორც ირკვევა, ავად მოსაგონარი ეგრეთ წოდებული „მეგრელთა საქმეც“ ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეშივე „შეუდგინეს“ თუ „გამოუგონეს“ პირადმა მტრებმა, რათა ქართველისავე ხელით ჩამოეშორებინათ გზიდან თავიანთი სამომავლო კარიერისთვის ბევრად უფრო საშიში მეორე ქართველიძ...

ამ წიგნებიდან რამდენადმე უკვე ცილისწამებაჩამორეცხილი მოჩანს დიდად ნიჭიერი და გამორჩეული პიროვნება, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონია იმ სისხლიან მინისტრთან, ლუბიანკის სარდაფებში ადამიანების ძვლებს რომ ღრღნიდა, ხოლო შესვენების დროს სკოლის მოსწავლე გოგონებს რომ აუპატიურებდა. მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, მაგრამ ჩვენ წინაშეა ჯიუტი ფაქტები, სარწმუნო მოწმობები, თანამედროვეთა პირუთვნელი გამოხმაურებები, ერთად რომ წარმოგვიდგენენ სრულიად სხვა სურათს...

და კიდევ: ამ „ინგლისის აგენტის“ ვითომ გამოძიება მიმდინარეობდა როგორც დაწერილი კანონების, ისე ჯანსაღი გონების საწინააღმდეგოდ (სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსის მკაცრ კანონებზე რომ აღარაფერი ითქვასძ, „საქმის მასალების“ ცხრა მეათედი ასლებია, დახვრეტის შესახებ განაჩენის დედანი თვალითაც არავის არ უნახავს, დაბოლოს, ის ბატიფეხურით დაჯღაბნილი ქაღალდი, რომელსაც „ბერიას დახვრეტის აქტს“ უწოდებენ, ისე გამოიყურება, რომ ასეთი „დოკუმენტის“ შედგენა თვით პროკურატურის ახალგაზრდა სტაჟიორსაც კი შერცხვებოდაო...

რაც შეეხება თვითონ სერგეი კრემლოვის წიგნს, შესავლად იქ ნათქვამია: რუსეთის მტრების მიერ შექმნილი „ჯალათისა“ და „ვამპირის“ სახე ათწლეულთა მანძილზე ჩრდილავდა ლავრენტი ბერიას ნამდვილ სახეს. ეს წიგნი ემსახურება ამ პიროვნების სრულ ისტორიულ და მორალურ რეაბილიტაციას. სიჭაბუკეში ბერია ახალი ქალაქების მშენებლობაზე ოცნეგობდა, სინამდვილეში კი სტალინთან ერთად უდიდესი სახელმწიფოს მეორე მშენებელი გახდა. მან თავისი სასიკეთო ხელი დაატყო ახალ თბილისს და მთლიანად საქართველოს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს აღადგინა კანონიერება. დიახაც ბერიას დაზვერვამ გააფრთხილა სტალინი მოახლოებული ომის თაობაზე. დიახაც ბერიამ მოამზადა მოსკოვის თავდაცვა და შეძლო კავკასიის შენარჩუნება. როგორც სტალინის მოადგილე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით, ის თავისი მხრებით ეწეოდა მთელი სამხედრო წარმოების მძიმედ დატვირთულ „აღალს“. ხოლო ომისშემდგომ ის გახდა ატომური და სარაკეტო დარგების ფუძემდებელი. თვითონ პირად მტრებსაც კი ტყუილად როდი მიაჩნდათ იგი „XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერად“. მხოლოდ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დიდოსტატს – ბერიას შეეძლო, რომ გამხდარიყო სტალინის ღირსეული მემკვიდრე, რომელიც რუსეთში თავისუფლებასაც და უფლებებსაც მისცემდა არა ნომენკლატურას, არამედ ხალხსო...



და აქ ისიც არის ნათქვამი, რომ სწორედ ბერია იყო სტალინის ეპოქის კოდური ფიგურა, რომლის ბიოგრაფიაც ერთგვარი გასაღებია იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა სტალინის სიცოცხლის ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში. ეს წლები კი (1938-1953ძ უდიდესი მნიშვნელობის წლები იყო. დიახაც ამ წლებმა განსაზღვრეს ქვეყნის შემდგომი მოძრაობაც და ამ მოძრაობის სამარცხვინო დასასრულიც. მაგრამ თვითონ სტალინს არავითარი ბრალი არ მიუძღვის. ის პატიოსნად იბრძოდა და წააგო... ოღონდ ვის ებრძოდა, ანდა როგორ და რის გულისთვის იბრძოდა, ეს ცხადი გახდა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა გაირკვა ხელისუფლების ნამდვილი სახე, ნამდვილი სტრუქტურა და ისიც უკვე გასაგები გახდა, რომ ომისშემდგომი სსრ კავშირი ორადორი ჭეშმარიტად დიდი, ოღონდ სხვადასხვა ასაკის სახელმწიფო მოღვაწის ანაბარა იყო დარჩენილი, რომელთაგან ერთმა თითქმის ყველაფერი შეასრულა, რაც შეეძლო, ხოლო მეორე დასაწყისშივე მოკლეს, სანამ აფრინდებოდა. და ამ ფაქტმა, ამ უმემკვიდრეობამ განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი ტრაგედია, და კარგი იქნებოდა, თუ ქვეყნის ისტორიაში 1953 წლის 26 ივნისი შავი ფერით ჩაიწერებოდაო...

ამას, ბატონებო, თვითონ რუსები წერენ, როგორც ისტორიაში, ისე საქმეში ღრმად ჩახედული რუსები, ჩვენ კი, ჩვენდა ძალიან სამწუხაროდ, ბევრს რასმე ჯერ კიდევ ზერელედ ვუყურებთ და რატომღაც ჯიუტად ვადგავართ იმ აზრს, რომ მზე ტრიალებს დედამიწის გარშემო და არა, პირიქით...

არადა, თუკი ვისმე აქვს სატრაბახო და საკვეხარი თავისი საჩინო შვილებით, უკანასკნელი, ამ თვალსაზრისით, ალბათ, არც საქართველოა, რომელსაც, პოეტის მოსწრებული თქმისა არ იყოს, ნამდვილად არა ჰყავანან დასაკარგავი შვილები...

ხოლო, თუ მაინცდამაინც რამე დანაშაულზე მიდგა საქმე, დიდ საქვეყნო დანაშაულზე, როგორც ყველაზე უტყუარმა და მართალმა განმკითხავმა – დრომ დაგვანახვა (ეს პროცესი, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებაძ, ეს ის საბედისწერო შემთხვევაა, როცა საერთოსაზიაროდ მონათლულ, მაგრამ მაინც სხვათა იმპერიაში ერთი ქართველის ოცდაათწლიანი პირველოკაცობის შემდეგ მეორე ქართველს, თუნდაც ისევ თავიანთ სასარგებლოდ, არამც და არამც აღარ აპირველკაცებდნენ და აკი აღარც აპირველკაცეს. ამდენი ჭუჭყიც სწორედ ამას მოჰყვა. ისტორიის ქარი კი თითქოსდა ცოტას აგვიანებს. თუმცა ამოსავარდნი პირი უკვე უჩანს.

შედარებით ნაკლებ კომპეტენტურ და წინამასწარა ჩვენებურ ავტორთაგან განსხვავებით, უთუოდ კომპეტენტურ და პატიოსან რუს ავტორთა წიგნებიც უწინარესად ამაზე მეტყველებენ (ეს ერთი ძველი ანდაზისა არ იყოს, ძაღლის ნაკბენსაც ხომ ისევ ძაღლის ბალანი არჩენს!ძ.

როგორც ჩანს, სანთელ-საკმეველი არც ამჯერად დაკარგავს თავის გზას...

დანარჩენს თვითონ სერგეი კრემლიოვის 800-გვერდიანი წიგნის ამონარიდები მოგითხრობთ...

**გურამ გოგიაშვილი**

*P. S. სტალინისა და ბერიას დემონიზაციას კვლავ ჩვეული გულმოდგინებით განაგრძობს რუსული ტელევიზია, რომელსაც ძალიან ხშირად არც ჩვენი ტელევიზია ჩამორჩება, რის თქმის უფლებასაც გვაძლევს თუნდაც ამ დღეებში მეთოდურად თითქმის ყველა ჩვენი არხით ნაჩვენები ბალტიისპირელთა ერთი ყოვლად უნიჭოდ შეკოწიწებული და თვალში საცემად ტენდენციურ-პროპაგანდისტული ფილმის „საბჭოთა ისტორიის“ ჩვენება. ხოლო რუსული სატელევიზიო არხების აშკარად ანტიქართულ ისტერიაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ამ ბოლო დროს ეკრანზე ხშირად გამოჰყავთ ვინმე პერმელი მინინი, რომელიც წარბშეუხრელად აცხადებს, რის ძანთარია, რა ძანთარია, ეგ ვიღაც ქართველი სტალინმა და ბერიამ მოიგონეს, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა 9 მაისს მე ავღმართეო. აი ამ საერთო ანტიქართული ისტერიის ფონზე კიდევ უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებენ ის რუსი ავტორები, ვინც პატიოსნად მოწადინეა, რომ სწორად დაინახოს ჩვენი საერთო წარსული და კეთილსინდისიერად „აწონოს“ ამ ავკარგიანი წარსულის შემქმნელთა სიავკარგე...*

*მართალია, მიწისთვის ყურაც არ მიუბარებიათ, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ როგორც ბევრ სხვას, მიუკერძოებელ რუს ავტორთ ვერ მიაკუთვნებ ვერც ფრიად გახმაურებული „გულაგის არქიპელაგის“ ნობელიანტ ავტორს, რომლის დისიდენტობა თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე გმირობის შარავანდედით ასოცირდებოდა და ასოცირდება ბევრის თვალში, სინამდვილეში კი ის ვერ მალავდა და ზოგიერთივით არც მალავდა თავის სლავოფილურ დიდმპყრობელურ (ველიკოდერჟავულ) სულს, „დიდი რუსეთის“ (მეტი რაღა დიდი უნდოდა!) იმპერიულ ამბიციებს. ამ დღეებში რუსული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ინფორმაცია, რომ უკვე სასიკვდილოდ გადადებულ 90 წლის მწერალს თურმე ნაკუწებად უქცევია ის გაზეთი, სადაც გამოქვეყნებულა ცნობა იმის თაობაზე, რომ რუსეთში ამჟამინდელი საზოგადოებრივი გამოკითხვის („ИМЯ РОССИЯ“) შედეგად, რუსეთის წინაშე ყველაზე უფრო დიდი დამსახურების მეოცესაუკუნელად პირველ ადგილზე იოსებ სტალინის სახელი და გვარი წაუკითხავს: როგორ? ნუთუ ჩვენმა ხალხმა ეს კავკასიელი დიქტატორი ნიკოლოზ მეორის წინ დააყენაო? როგორც იმავე ცნობაშია ნათქვამი, ამ ამბავს თურმე მოხუცი მწერლის სიკვდილიც კი დაუჩქარებია. ერთი სიტყვით, კომენტარი მართლაც ზედმეტია, ვისაც მიხვედრა უნდა, ყველაფერს ისედაც კარგად მიხვდება...*

*გ. გ.*
*6.08.08 წ.*

## ◎ ვაიმე, ენავ!

**რუბრიკას უძღვება**
**მურმან თავდიშვილი**

***თუ სერიოზულ ჟურნალ-გაზეთებში გარკვეულწილად მაინც ცდილობენ ლიტერატურული ენისა და გამართული სტილის დაცვას, ხოლო დარღვევები ცალკეული შემთხვევების სახით გვხვდება, ყვითელ პრესაში სტილიც ყვითელია. აქ მოზღვავებულია ქუჩური მეტყველება, ჟარგონი; უცხოურ სიტყვებსა და ტერმინებს გაუაზრებლად ხმარობენ. ამიტომაც ბევრი წინადადება რებუსსა ჰგავს. არ ვიცი, საიდან შემოვუარო. საამისო მაგალითებს უხვად იძლევა ნებისმიერი ამგვარი ჟურნალის ან გაზეთის ერთი ნომერიც კი. ამჯერად განვიხილოთ ჟურნალი „სარკე“ № 24.***
***რა სახის შეცდომა, გადაცდომა, დარღვევა და ლაფსუსი გინდა, აქ უხვად არ მოიპოვო. მივყვეთ თანამიმდევრულად.***

# ყვითელ პრესაში სტილიც ყვითელია

წერია: **„წლებთან ერთად ამ ფაქტს შეეგუა“** (5ძ.

ისე გამოდის, თითქოსდა პიროვნება და წლები რაღაც ფაქტს ერთობლივად შეჰგუებიან. ასე რომ არ გავიგოთ, საჭიროა **„წლებთან ერთად“** შეიცვალოს სიტყვებით: **„წლების განმავლობაში“**. მაშინ შემგუებელი ერთი გამოგვივა.

**„მძიმეა“**, ანუ ძნელად გასაგებია ფრაზა: **„შურიკამ ჩემს ცხოვრებაში მძიმე შედეგები დატოვა“** (5ძ. რა თქმა უნდა, **„შედეგები“** არაა ის სიტყვა, რაც აქ გვჭირდება. უნდა ყოფილიყო **„კვალი“**. **„მძიმე კვალი“** უფრო გასაგები იქნებოდა. იმავე გვერდზე (და, საერთოდ,მთელ ნომერშიძ ჩართულები ხან გამოიყოფა მძიმით, ხან – არა: **„შურიკას ჩემთვის უბედურების გარდა არაფერი მოუტანია“** (5ძ. **„უბედურების გარდა“** უნდა გამოცალკევებულიყო.

მართებულია **„რამდენიმეჯერ“** (**რამდენიმე – ჯერ**ძ, მაგრამ უფრო ხშირად გვაწვდიან მცდარ დაწერილობას – **„რამდენჯერმე“** (12, 18 და სხვ.ძ; არ იყენებენ მშვენიერ აფიქსებს **უ-ო,** სამაგიეროდ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოუმარჯვებიათ **„პარაზიტი“** სიტყვა **„გარეშე“**: **„შუამავლის გარეშეც“** (12ძ. უნდა იყოს **„უშუამავლოდან“**; **„ყოველგვარი ანაზღაურების გარეშეც“** (16ძ. უნდა: **„აუნაზღაურებლადაც“**. მაშასადამე, ერთის მაგიერ ნახმარია სამი სიტყვა. ეს იმის ნიშანია, რომ ქართული არ ვიცით; იქვეა **„რეცეპტის გარეშე“** (17ძ. სწორია **„ურეცეპტოდ“**; **„სამედიცინო დახმარების გარეშე“** (18ძ; **„ოჯალეშის გარეშე“** (76ძ; ნომერი გატენილია ორთოგრაფიულად მცდარი ფორმებით: **„დაუხარჯია“** (13ძ. უნდა ყოფილიყო **„დაუხარჯავს“**; არის – **„მოამბე“**-ში (16ძ. თანდებული უნდა იყოს სიტყვასთან შეხორცებული და ბრჭყალებში მოქცეული. მაშ, სწორია **„მოამბეში“**; არის **„თვენახევარით“** (18ძ. იწერება ამნაირად: **თვე-ნახევრით;** წერია **„გადასაკითხად“** (42ძ. სიტყვას აქვს „ავ“ თემის ნიშანი, რაც დავიწყებულია. მართებულია **„გადასაკითხავად“**; **„მჩუქნის“**, **„მჩუქნიან“** (44ძ დიახაც გავრცელებულია მეტყველებაში, ოღონდ უსწოროა. უნდა ეთქვათ: **„საჩუქრად მაძლევენ“** (ან **მიძღვნიანძ**; **„ჭარბობს“** (48ძ მოითხოვს ირიბ-ობიექტური პირის ნიშანს. სწორია **„სჭარბობს“**; **„გასამართიც“** (48ძ ასევე **„ავ“** თემისნიშნიანია: **„გასამართავი“**; რედაქციაში არა სცოდნიათ, რომ გვაქვს სიტყვა **„რაღაც“**. როცა მას მრავლობითის ნიშანი **„ებ“** ემატება, გამოდის **„რაღაცები“**. სწორედ ეგ ფორმაა მართებული. აქ კი ყველგან გვიწერენ ორ **„ე“** ხმოვანს: **„რაღაცეები“** (49 და სხვაგანძ. ეს მაშინ იქნებოდა სწორი, რომ გვქონდეს საწყისი სიტყვა **„რაღაცე“**. ეს კი ასე როდია; **„მიკარებია“** (74ძ მცდარია, რადგან აკლია **„ჰ“** ირიბობიექტური პირის ნიშანი.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე





# პუტინი: საქართველოს მოქმედება უპასუხოდ არ დარჩება

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ საქართველოს საბრძოლო მოქმედებანი სამხრეთ ოსეთში უპასუხოდ არ დარჩება.**

სამხრეთ ოსეთში „არიან დაჭრილები, დახოცილები, მათ შორის არიან დაზარალებულები რუს სამშვიდობოებს შორისაც. ეს მეტად სამწუხაროა, ძალიან გვაშფოთებს და, რასაკვირველია, ეს გამოიწვევს საპასუხო მოქმედებებს“, – განაცხადა რუსეთის პრემიერმა ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევთან შეხვედრის დროს.

როგორც რუსი სამშვიდობოების სარდლობაში გვაცნობეს, სამშვიდობოებს შორის არიან დახოცილები და დაჭრილები „ყაზარმებზე პირდაპირი მოხვედრის შედეგად. ისროდნენ არტილერია და რაკეტები“. სარდლობაში ამბობენ, რომ ქართული ჯარები ესვრიან რუსი სამშვიდობოების დისლოკაციის ადგილებს.

უახლოეს პერიოდში რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი აპირებს კრემლში მოიწვიოს თათბირი ქვეყნის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების მონაწილეობით, იტყობინება სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარასკევს ხალხისადმი მიმართვაში გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია და მოუწოდა ყველა რეზერვისტს, გამოცხადდეს გაწვევის პუნქტებში, იტყობინება ინტერფაქსი.

„მხოლოდ ასე შეგვიძლია გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა“, – განაცხადა სააკაშვილმა.

სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭომ მიმართა რუსეთის ხელმძღვანელობას მოწოდებით, ერთი საათის განმავლობაში გამოაგზავნოს დახმარება, „წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი მსხვერპლი იქნება“.

უფრო ადრე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ განაცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლება არ გაჩერდება, „სანამ არ დამყარდება მშვიდობა“ სამხრეთ ოსეთში.

სპეციალურ განცხადებაში პრესისათვის გურგენიძემ მოუწოდა მოსახლეობას, შეინარჩუნოს სიმშვიდე და განაცხადა, რომ „ქვეყანაში ჩვეულებრივი სამუშაო დღეა“.

„საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფები მიიღებენ ყველა სათანადო ზომებს სამხრეთ ოსეთში მანამ, სანამ არ დამყარდება მშვიდობა და მოსახლეობას არ მიეცემა თავისუფლად ცხოვრების შესაძლებლობა“, – განაცხადა პრემიერმა.

„სამწუხაროდ, ჩვენ იძულებული ვიყავით, გამოგვეყენებინა შეიარაღებული ძალები, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ ინიციატივაზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ცალმხრივად, სეპარატისტებმა გახსნეს მასირებული ცეცხლი ქართული სოფლების მიმართულებით, ამავე დროს მასობრივად დაიწყეს შემოსვლა ბოევიკებმა როკის გვირაბით, რაც ძირითადი მადესტაბილიზებელი ფაქტორია“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისი სიტყვებით, რეგიონის ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის გამოყოფილია 50 მილიონი ლარი (35 მილიონი დოლარიძ. „ეს ფული მოხმარდება დაზარალებულ ტერიტორიებს“, – თქვა გურგენიძემ.

საქართველოს პრემიერმა გაიმეორა, რომ სამხრეთ ოსეთს მიენიჭება ფართო ავტონომია და გამოთქვა მზადყოფნა მოლაპარაკებებისთვის.

მოსკოვის ინიციატივით გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები პარასკევს შეიკრიბნენ ექსტრემალურ თათბირზე, თუმცა ვერ შეთანხმდნენ განცხადების საბოლოო ტექსტის შესახებ სამხრეთ ოსეთში სიტუაციასთან დაკავშირებით.

„მე არ გამაჩნია ოფიციალური მონაცემები მსხვერპლის ოდენობის შესახებ და ეჭვი მეპარება, რომ ის ვინმეს ჰქონდეს ამჟამად, მაგრამ ჩვენ მივიღეთ ცნობები რუსეთიდან და უცხოელი კორესპონდენტებისაგან, სადაც უკვე იტყობინებიან ათობით მსხვერპლის შესახებ, – თქვა ბი-ბი-სი-სათვის მიცემულ ინტერვიუში გაეროში რუსეთის მისიის წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ.– იქ არიან რუსეთის მოქალაქეები და ჩვენი მთავარი ამოცანაა, დავიცვათ ისინი. ჩვენ მივმართავთ მსოფლიო გაერთიანებას თხოვნით, მოუწოდონ საქართველოს, შეწყვიტოს აგრესია და ძალადობა რეგიონში“.

ამ დროს, როგორც ინტერფაქსის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, ქართული ჯარები შევიდნენ ცხინვალში, ბრძოლები მიდის ქალაქის სამხრეთ ნაწილში.

ქართულმა რადიო „იმედმა“ მოვლენათა ადგილიდან გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართულმა ქვედანაყოფებმა აიღეს ქალაქი. ამ ინფორმაციის უშუალო დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ ცხინვალი რჩება რესპუბლიკის სამხედრო ძალების კონტროლის ქვეშ.

„ყველა ცნობა თითქოსდა სამხრეთ ოსეთის დამარცხების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება“, – განუცხადა ინტერფაქსს ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელმა თეიმურაზ მამსუროვმა, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას ცხინვალში.

> *საქართველოს მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მიზანია არა დაიპყროს უღიარებელი რესპუბლიკა, არამედ ბოლო მოუღოს „კრიმინალურ რეჟიმს“*
>
> BBC

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის მიდამოებში ბრძოლები დაიწყო სულ რამდენიმე საათის შემდეგ, რაც მოხდა სამშვიდობოს შეთანხმება და მხარეებმა დაიწყეს მოლაპარაკება, რომელიც უნდა გამართულიყო პარასკევს რუსეთის შუამავლობით.

რუსეთის საინფორმაციო სააგენტოების მონაცემებით, სროლის შედეგად სამხრეთ ოსეთში დაიღუპა სულ ცოტა 15 კაცი. ინტერფაქსის კორესპონდენტის სიტყვებით, დაღუპულთა რიცხვი რამდენიმე ათეულით განისაზღვრება. ინფორმაცია დაღუპულთა შესახებ ქართული მხრიდან ჯერჯერობით არ შემოსულა.

ცხინვალზე იერიშის დაწყების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ ღამით.

საქართველომ განაცხადა, რომ განზრახული აქვს, ბოლო მოუღოს „კრიმინალურ რეჟიმს“ უღიარებელ რესპუბლიკაში და დაამყაროს იქ წესრიგი.

რუსეთის მასობრივი ინფორმაციების საშუალებების მონაცემებით, ცხინვალის მიმართულებით ღამით დაწყებული სროლები წარმოებდა სარაკეტო დანადგარების, ჰაუბიცებისა და მძიმე ნაღმსატყორცნების გამოყენებით.

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის ცენტრში დაიწყო ხანძრები, იწვის უღიარებელი რესპუბლიკის მთავრობის შენობა, იტყობინებიან რუსეთის ტელეარხები. ადგილობრივი მოსახლეობა სარდაფებში იმალება, ბევრი სახლი დანგრეულია.

კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების შერეული ძალების სარდალმა მარატ კულახმეტოვმა განაცხადა, რომ საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალებმა მიაყენეს დარტყმები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას.

„მთლიანად ხუთმა ქართულმა თვითმფრინავმა მიაყენა დარტყმა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას ტყვერნეთის დასახლებული პუნქტის მახლობლად“, – განაცხადა კულახმეტოვმა პარასკევს დილით.

დაახლოებით ათასი მოხალისე უღიარებელი აფხაზეთის რესპუბლიკიდან მიემართება სამხრეთ ოსეთისკენ.

როგორც აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა აცნობა ინტერფაქსის სააგენტოს, საქართველოს საზღვრისკენ დაიძრა აფხაზეთის არმიის აღმოსავლეთი დაჯგუფება, რომელიც შეიარაღებულია მძიმე ტექნიკითა და ზალპური ცეცხლის დანადგარებით.

სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ ცხინვალის იერიშს უწოდა „გამცემლური ნაბიჯი“ საქართველოს მხრიდან. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამშვიდობო ოპერაციის შტაბის უფროსმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, რომ ოპერაციის მიზანია „საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენა“.

საქართველოს მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მიზანია არა დაიპყროს უღიარებელი რესპუბლიკა, არამედ ბოლო მოუღოს „კრიმინალურ რეჟიმს“.

საქართველო ამტკიცებს, რომ იძულებული იყო უარი ეთქვა ცეცხლის წარმოების ცალმხრივ მორატორიუმზე მას შემდეგ, რაც ოსეთის პოზიციებიდან არ წყდებოდა ქართული სოფლების მიმართულებით სროლები.

უფრო ადრე საქართველოს პრეზიდენტმა სატელევიზიო მიმართვაში მოუწოდა შეეწყვიტათ სისხლისღვრა, ამავე დროს იგი გვაფრთხილებდა, რომ სეპარატისტებმა არ უნდა დაიწყონ თბილისის მოთმინების გამოცდა.

ხუთშაბათს საღამოს სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქართულ ჯარებს უბრძანა, პასუხი არ გაეცათ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან სროლებს და ოპონენტებს მოუწოდა, მიბაძონ მის მაგალითს.

# სამხრეთ ოსეთში ომი

**2 აგვისტოს ოსური დასახლებული პუნქტების მიმართულებით წარმოებული ინტენსიური სროლების შედეგად დაიღუპა 6 ოსი, ხდებოდა აგრეთვე ცხინვალის თავზე შეჯახებების სერია, რის შემდეგაც საბრძოლო მოქმედებანი გადაიზარდა პერმანენტულ კონფლიქტში. ამჟამად სიმშვიდის მოკლევადიანი პერიოდები იცვლება ახალი სროლებით და დაბომბვებით დასახლებულ პუნქტებში.**

6-დან 7 აგვისტომდე მთელი ღამის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში გრძელდებოდა დასახლებული პუნქტების მიმართულებით სროლები, მათ შორის ცხინვალის მიმართულებითაც. ძირითადი სროლები წარმოებდა ოსურ სოფელ დმენისის მიმართულებით. შედეგად დაიჭრა 18 კაცი. თავის მხრივ, თბილისმა განაცხადა მთელი რიგი ქართული სოფლების მიმართულებით სროლების შესახებ. დილის 9 საათისათვის სროლა შეწყდა, მხოლოდ იმისათვის, რომ კვლავ გაგრძელებულიყო ნახევარი დღის შემდეგ. დღისით ქართულმა ქვედანაყოფებმა, როგორც განაცხადა სამხრეთ ოსეთის მხარემ, გაუხსნა ძლიერი ცეცხლი სოფელ ხეთაგუროვოსა და ქალაქ ცხინვალს. აქ გაისმოდა ჰაუბიცების ჭურვების აფეთქებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლის ხმები.

შეგახსენებთ, რომ გასული შეიარაღებული კონფლიქტი რეგიონში (1990-1992ძ მიმდინარეობდა დაახლოებით ასეთი სცენარით – სროლები დასახლებული პუნქტების მიმართულებით დროდადრო იცვლებოდა იერიშებით სიმაღლეებზე და მოწინააღმდეგეების პოზიციებზე. ასე რომ, შეიძლება ჩავთვალოთ – სამხრეთ ოსეთში განახლდა ომი.



დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის ამიერკავკასიის განყოფილების ხელმძღვანელის მიხეილ ალექსანდროვის აზრით, ამჟამად უღიარებელ რესპუბლიკაში მეორდება 2004 წლის ზაფხულის სიტუაცია. „მაშინ აგვისტოში სააკაშვილმა მოინდომა ასეთივე მცოცავი ექსპანსია სამხრეთ ოსეთში“, – განაცხადა ექსპერტმა. ამ ტაქტიკის არსი ის არის, რომ ქართული სამხედრო ფორმირებები თანდათანობით მიიწევდნენ წინ და იკავებდნენ სულ ახალ-ახალ სიმაღლეებსა და რაიონებს, რომლებსაც ადრე ოსები აკონტროლებდნენ. გარკვეულ ეტაპზე ოსებს სხვა აღარაფერი რჩებოდათ გარდა იმისა, რომ ჩართულიყვნენ საბრძოლო მოქმედებაში და შეეჩერებინათ მოწინააღმდეგის შეტევა. შედეგად ხდებოდა საბრძოლო შეტაკებანი და ეს გადაიზარდა ლოკალურ ომში“, – ამბობს ბატონი ალექსანდროვი. 2004 წელს ოსებმა შეძლეს თავიანთი ძალებით შეეკავებინათ

> *გასული შეიარაღებული კონფლიქტი რეგიონში (1990-1992) მიმდინარეობდა დაახლოებით ასეთი სცენარით – სროლები დასახლებული პუნქტების მიმართულებით დროდადრო იცვლებოდა იერიშებით სიმაღლეებზე და მოწინააღმდეგეების პოზიციებზე. ასე რომ, შეიძლება ჩავთვალოთ – სამხრეთ ოსეთში განახლდა ომი*
>
> ЧАС

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სამხრეთ ოსეთში დაუბრუნებლობის წერტილი

**სამხრეთ ოსეთში პარასკევს ღამით დაიწყო ცხარე ბრძოლები მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გამოყენებით. პრეზიდენტ სააკაშვილის წინადადება დაზავების შესახებ გაგრძელდა სულ რამდენიმე საათი და ქართული ჯარები გადავიდნენ იერიშზე ცხინვალის მიმართულებით. გაეროს უშიშროების საბჭო იწვევს ექსტრემალურ სხდომას, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ „დაუბრუნებლობის წერტილი“ ომის გზაზე უკვე გავლილია, იტყობინებიან უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.**

კავკასია აღმოჩნდა სრულმასშტაბიანი ომის ზღვარზე, იტყობინება ინდეპენდენტი. ხუთშაბათს გვიან ღამით ცხინვალისკენ დაიძრა ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა დიდი ჯგუფი, რის შემდეგაც სეპარატისტული ხელისუფლების პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ „ცხინვალზე იერიში დაიწყო“. მან თქვა აგრეთვე, რომ ქალაქისაკენ მიმავალ გზებზე სეპარატისტების ძალები აწარმოებენ ომს ქართულ არმიასთან.

არსებობს იმის საშიშროება, რომ კონფლიქტში შეიძლება ჩაერთოს რუსეთიც. ადრე მოსკოვი აცხადებდა, რომ არ დარჩებოდა გულგრილი შეიარაღებული შეტაკებებისადმი თავის სამხრეთ საზღვარზე. გუშინ საღამოს გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის ჩრდილოეთ ოსეთიდან დაიძრა ასობით მოხალისე, რათა შეუერთდნენ თავიანთ ძმებს სამხრეთ ოსეთში. აფხაზეთის ხელმძღვანელობა იტყობინება, რომ ათასი აფხაზი მოხალისე უკვე გზაშია.

ახლა, ალბათ, ქართული მხარე უკვე დაიღალა მოლაპარაკებებისაგან და გადაწყვიტა საქმეში ჩართოს საკუთარი ხელები. მაგრამ მომენტი, რომელიც ამ საქმისთვის არის შერჩეული, გაოცებას იწვევს. დღეისათვის დანიშნული იყო მოლაპარაკებანი სეპარატისტების მთავრობასა და საქართველოს მთავრობის მინისტრს შორის, მაგრამ ცხინვალზე თავდასხმა მოხდა სულ რამდენიმე საათის შემდეგ, რაც სააკაშვილმა პირდაპირი ტელეეთერით გამოაცხადა ომის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. ზავი გაგრძელდა სულ რაღაც რამდენიმე საათის განმავლობაში და კოკოითიმ მას უწოდა „სამარცხვინო და

> *არსებობს იმის საშიშროება, რომ კონფლიქტში შეიძლება ჩაერთოს რუსეთიც. ადრე მოსკოვი აცხადებდა, რომ არ დარჩებოდა გულგრილი შეიარაღებული შეტაკებებისადმი თავის სამხრეთ საზღვარზე. გუშინ საღამოს გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის ჩრდილოეთ ოსეთიდან დაიძრა ასობით მოხალისე, რათა შეუერთდნენ თავიანთ ძმებს სამხრეთ ოსეთში. აფხაზეთის ხელმძღვანელობა იტყობინება, რომ ათასი აფხაზი მოხალისე უკვე გზაშია.*
>
> ИЗВЕСТИЯ

ვერაგი“. საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ „დაიწყო ოპერაცია საკონსტიტუციო წყობილების აღდგენისათვის“, – წერს ბრიტანული დი ტაიმსი. თვითმხილველთა სიტყვებით, ცხინვალის თავზე ღამით გაისმოდა აფეთქებების ხმა „ქართული ჯარები უტევენ ცხინვალს. ისინი ბომბავენ ქალაქს“, – განაცხადა სეპარატისტების ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ. საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რუსეთიდან შემოდიან „დაქირავებულები“ ტანკებითა და სხვა მძიმე სამხედრო ტექნიკით.



რუსეთი აღშფოთებულია საქართველოს მოქმედებით. „საქართველო მოიქცა აბსოლუტურად ცუდად, ეს ნაბიჯი მოწმობს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას ნდობის ნულოვანი კრედიტი აქვს“, – აღნიშნავს იური პოპოვი, რუსეთის ელჩი განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში, რომელიც გაიგზავნა რეგიონში შუამავლის როლით სამშვიდობო მოლაპარაკებებზე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გვიან ღამით გაავრცელა განცხადება მოწოდებით, მიიღონ ზომები დიდი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. ნიუ-იორკში მოწვეული იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს რიგგარეშე სხდომა კრიზისის განსახილველად.

თბილისის განცხადებით, ქართულმა ჯარებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ ამბოხებული ტერიტორიის სიღრმეში. როგორც ხელისუფლება ამტკიცებს, ამის საბაბი გახდა პროვოკაცია საზღვარზე, მათ შორის ნაღმტყორცნებით სროლები. ჯარები, როგორც ქართული მხარე იტყობინება, სულაც არ აპირებენ ანკლავის ხელში ჩაგდებას, არამედ მათ სურთ უზრუნველყონ თავი ახალი დარტყმების საფრთხისაგან.

დღემდე გაურკვეველია, თუ როგორ უნდა შეუშალონ ხელი კონფლიქტის გამწვავებას, მიიჩნევს ერთ-ერთი უცხოელი გამოშვება. ეს კონფლიქტი ჰგავს კონფლიქტს საქართველოსა და აფხაზეთს შორის და გამოიყურება, როგორც დავა მოსკოვისა და დასავლეთის წარმომადგენელთა შორის...

საერთაშორისო გაერთიანებას სურს, რაც შეიძლება მალე ჩაქრეს კონფლიქტი, იტყობინება იტალიური ლა რეპუბლიკა. მოწოდებები გაეროს, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების მხრიდან გაისმოდა მთელი დღის განმავლობაში. საღამოს მიღწეული იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ დღეს დაიწყონ მოლაპარაკება და დაასრულონ ომები, მაგრამ უკვე ღამით ეს სუსტი დაზავება დაირღვა ხელახალი შეტაკებებით.

გუშინ, თითქოს, გავლილი იქნა დაუბრუნებლობის წერტილი, წერს იტალიური გაზეთი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე შეიძლებოდა წაგეკითხათ, რომ თბილისის შეტევა უნდა „განვიხილოთ, როგორც ომისათვის მზადება“. არავის შეუძლია დარწმუნებით ლაპარაკი იმაზე, რომ დღეს გაიმართოს შეხვედრა საქართველოს მინისტრ თემურ იაკობაშვილსა და სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერ ბორის ჩოჩიევს შორის სამშვიდობო მოწესრიგების საკითხზე.

# მიმდინარეობს

ქართველების ზემოქმედება და ქართული ჯარები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მაგრამ ამჟამად, თავისი შეიარაღებული ძალების რამდენიმე წლის მზადებისა და უცხოეთში იარაღის შესყიდვის შემდეგ, საქართველო ვარაუდობს, რომ იგი იმყოფება გაცილებით უკეთეს სიტუაციაში და შეუძლია მიაღწიოს სამხედრო წარმატებებს. „იქმნება სიტუაცია, როდესაც ოსებს საკუთარი ძალებით, შეიძლება, აღარ შეეძლებათ ქართველი აგრესორების მოგერიება“, – აღნიშნავს ალექსანდროვი.

ამ დროს საქართველოს პრეზიდენტი გამოდის ახალი მოწოდებით. მან მოითხოვა რუსეთისაგან, გაიწვიოს თავისი მოქალაქეები, რომლებსაც უკავიათ ოფიციალური პოსტები სამხრეთ ოსეთში. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თითქმის ყველა მცხოვრებს რესპუბლიკაში აქვთ რუსეთის მოქალაქეობა, ეს ნიშნავს, რომ მთელი ადმინისტრაცია სამხრეთ ოსეთისა მთლიანი შემადგენლობით უნდა წავიდეს რუსეთში. ამას გარდა მან ფაქტობრივად მოითხოვა მოსკოვისგან არ ჩაერიოს კონფლიქტში. „დარწმუნებული ვარ, რომ კონფრონტაცია არ შეესაბამება არც რუსეთის, არც საქართველოს ინტერესებს“, – განაცხადა სააკაშვილმა.

აქ სააკაშვილს ვერ შეედავები. მაგრამ არსებობს კიდევ აფხაზეთი, რომელმაც განაცხადა, რომ მზად არის დაეხმაროს სამხრეთ ოსეთს. არიან რუსი მოხალისეებიც, რომლებიც მზად არიან აიღონ და უკვე აიღეს კიდეც ხელში იარაღი. ამიტომ საქართველოს მხრიდან, მიგვაჩნია, უკეთესი იქნებოდა არ შემოიფარგლოს მოწოდებით და შეეცადოს კონფლიქტის გადაწყვეტას დიპლომატიური გზებით.




დედამიწის ზურგზე



**მინსკში** დააკავეს ოპოზიციონერები „ახალგაზრდა ფრონტიდან“. მინსკის მილიციამ დააკავა დაურეგისტრირებელი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფრონტის“ ლიდერები. დაკავებულთა შორის ოთხი არასრულწლოვანია. მათ წაუყენეს ბრალდება არასანქციონირებულ ქუჩის აქციაზე.

* * *

**ირანის** ატომური ელექტროსადგური ბუშერაში ამოქმედდება მიმდინარე წლის ბოლოს. ირანს იმედი აქვს, რომ რუსეთი შეასრულებს ყველა თავის ვალდებულებას ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრების შესახებ. „როსატომის“ ხელმძღვანელმა სერგეი კირიენკომ ივნისის დასაწყისში განაცხადა, რომ მოსამზადებელი სამუშაოები, მათ შორის ატომური ელექტროსადგურის მომარაგება ბირთვული საწვავით, დაიწყება შემოდგომით.

* * *



**ისრაელში** ჩამოვარდა მსუბუქი თვითმფრინავი, სამი კაცი დაიღუპა. თვითმფრინავი დაეჯახა ამონიაკის საცავს. ის ბრუნდებოდა კვიპროსიდან ოთხი მგზავრით. მფრინავს კურსი აერია დაშვების დროს და ასრულებდა ახალ შემოსვლას.

* * *

**ფლორიდის** მცხოვრები დააკავეს ბარაკ ობამაზე თავდასხმის მცდელობისათვის. ბოროტმოქმედი სასტუმროს ნომერში დააკავეს იარაღით ხელში. 22 წლის რეიმონდ ჰანტერ გეიზელი იმუქრებოდა ობამას და ბუშის მოკვლით თანაკურსელების თანდასწრებით, რომლებმაც გადასცეს იგი პოლიციას. თვითონ დაპატიმრებული კი აცხადებს, რომ იგი ხუმრობდა.

* * *

**პუტინმა** ჩინეთის პრემიერს საუბარში გადაუკრა ოლიმპიადაზე მსაჯობის მიუკერძოებლობის აუცილებლობის შესახებ. რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი იმედოვნებს, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე, რომლებიც გაგრძელდება 24 აგვისტომდე, უზრუნველყოფილი იქნება მიუკერძოებელი მსაჯობა, მაშინ სპორტსმენები აჩვენებენ „კარგ შედეგებს“ და „გაახარებენ თავიანთ გულშემატკივრებს“.

* * *



**იაპონიის** იმპერატორის ტახტის მემკვიდრემ მეორე ცდაზე დაძლია ფუძის წმინდა მთა. მცხუნვარე მზისგან თავდაცვის მიზნით მთაზე ასვლა ძირითადად იწყება საღამოობით და მთავრდება განთიადისას, რათა შეძახილით „ბანზაი“ შეხვდნენ მზის პირველ სხივებს. მთაზე ასვლა ზაფხულობითაც კი მოითხოვს განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებასა და სულაც არა ჰგავს სახალისო გასეირნებას.

* * *

**ტაიმსი:** უთანხმოება ჰილარი კლინტონსა და ბარაკ ობამას შორის შეიძლება განხეთქილებაში გადაიზარდოს დემოკრატების ყრილობაზე. ორკვირეულის ცნობით ყველაზე სერიოზული დაპირისპირება შეეხება მრავალმილიონიან დავალიანებას, რომელიც ეკისრება კლინტონის შტაბს, რომელიც იძულებული იყო ნაწილობრივ დაეფინანსებინა თავისი კამპანია კერძო სახსრებით. ამას გარდა კლინტონის მომხრეები მოითხოვენ მისთვის განსაკუთრებული როლის მინიჭებას ყრილობაზე.



* * *



**უსამა ბენ ლადენის** ყოფილ მძღოლს 5,5 წლის ციხე მიუსაჯეს. ნაფიცმა მსაჯულებმა მას ბრალად ხუთი პუნქტი წაუყენეს, რომელთაგან მთავარია ტერორიზმისათვის „მატერიალური დახმარება“. მსჯავრდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს. მძღოლი დააკავეს ამერიკის ნაწილებმა ავღანეთში 2001 წლის ნოემბერში. 2002 წლის მაისში კი იგი გახდა გუანტანამოს ტყვე.

* * *

**კანადის** პროვინცია ონტარიოში ავტობუსი ინგლისელი ტურისტებით ავარიაში მოჰყვა. მგზავრების უმეტესობა ბავშვები იყვნენ. 17 კაცი სერიოზული ტრავმებით ჰოსპიტალიზებულია. ზოგიერთი მათგანი შვეულმფრენით მიიყვანეს საავადმყოფოში.



*(უცხოეთის გაზეთების მასალები იბეჭდება შემოკლებებით)*

◎ თივისა და ძაღლის ანდაზის არ იყოს...

# ხვალ... „სამშობლო“ დაარბიეს...

ო, ტა, ტა, ტა!.. ეს მართლაც „გაუგონარი “ იყო!.. არა, ამ ხელისუფლებას და, კერძოდ, „ვანოს ბიჭებს“ სპეცოპერაციების მეტი რა ჩაუტარებიათ, მაგრამ გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში დილაუთენია შევარდნა და ღამენათევი ჟურნალისტების აწიოკება ისე ფიცხლად მოხდა, ოპერაციაში ნაღდად გენერალ-ლეიტენანტი მერაბიშვილი იქნებოდა ჩარეული, იგი აუცილებლად დაამშვენებს ვანოს მრავალფეროვან ბიოგრაფიას.

ჯერ მარტო ის რად ღირდა, სპეცრაზმელების კორდონი ორ მწკრივად ბელინსკის ქუჩაზეც რომ ადიოდა და შენობაში შემსვლელ-გამომსვლელს მკაცრად ათვალიერებდა. თუმცა ვინ შეგიშვებდა, აი, გამომსვლელები, უფრო სწორად კი, გამოყრილები, იცოცხლეთ, ბევრნი იყვნენ. მაგალითად გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქციისა და ტელეკომპანია „კავკასიის“ თანამშრომლები თავის ბარგიბარხანიანად... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ (ამ განუკითხაობის ამსახველმა ტელედა ფოტოკადრებმა ქვეყანა მოიარა)...

ხოლო იმ რედაქციებს (მაგალითად, ჩვენ) და გამომცემლებს, რომლებიც იმ ღამით, საბედნიეროდ, შენობაში არ ვიმყოფებოდით, გამოგვიცხადეს, ხვალ მოდით და გაიტანეთ აქედან თქვენი ქონებაო, ანუ, სადაც გინდათ იქ წადით, წინ წყალი, უკან მეწყერიო...

რა მოიგო ამ „გაუგონარი“ სპეცოპერაციით ხელისუფლებამ?.. ერთი მისხალიც კი — არაფერი. უნდოდათ შენობის გაყიდვა 20 მილიონ დოლარად ბენდუქიძეს, არველაძესა და მათნაირებს, ტენდერიც გამოცხადდა, მაგრამ დღემდე მყიდველი არ ჩანს, შენობის შიგნით კი ყველაფერი განადგურებულ-გაპარტახებულია. აქ მომუშავე უამრავი ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა, თანაშეზრდილი ამ შენობას წლების განმავლობაში, ერთმანეთს რომ მეგობრობდა და ახლობლობდა, დაშალა და დააქუცმაცა, ადამიანები ერთმანეთს დააცილა, უამრავი გაზეთის რედაქცია და გამომცემლობა ქალაქის სხვადასხვა კუთხეშია მიმოფანტული. ახლა ამ ხალხის, ამ ჟურნალისტების ბოღმა ნახე ხელისუფლებისადმი! თუმცა ზემდგომნი ხომ თავიანთი პრეზიდენტივით პრესას არ კითხულობენ, „კავკასიას“ არ უყურებენ (მეტი მაგათ რა ვუთხარი!) და, ამდენად ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც ფეხებზე ჰკიდიათ.

აი, 2007 წლის 10 აგვისტოს დილაბნელის არაადამიანური სპეცოპერაციის შედეგები. ამათგან მეტია მოსალოდნელი!

„საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქცია.



◎ რა გვეაუქციონებოდა?!

# ახლა უკვე მასწავლებლებსაც ართმევენ საკუთრებას

## პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტი აუქციონზე გაყიდვას ჯერჯერობით გადაურჩა

**ქვეყნისთვის არაერთ მნიშვნელოვან ობიექტთან ერთად, ეკონომიკის სამინისტრომ ერთი თვის წინათ პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტიც გაიტანა აუქციონზე. არადა ინსტიტუტის შენობა ისტორიულ ძეგლთა კატეგორიას განეკუთვნება.**

„სახელმწიფო ყველაფერს ყიდის და გასაკვირი ამაში არაფერია. მთავარი მაინც ის არის, თუ ვინ ყიდულობს. თუ ის იყიდის, ვისაც დარგის აღორძინება და პედაგოგებისთვის უფრო მეტი სერვისის შექმნა ენდომება, მისასალმებელი იქნებოდა, თუ დანგრევას უპირებენ შენობას, ეს ძალიან ცუდია. ეს ერთადერთი შენობაა, რომელიც დარჩა პედაგოგებისთვის და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის და, ბუნებრივია, მძიმე დარტყმა იქნება განათლების სისტემისთვის“, — განაცხადა ინსტიტუტის დეკანმა ბატონმა მერაბ ნეფარიძემ.



ალმაშენებლის გამზირზე მდებარე ეს შენობა კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი და ცნობილი არ არის, პროფილის შენარჩუნებით იყიდება დაწესებულება თუ არა.

ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან ერთად პრეტენზიას ინსტიტუტის მეზობლად მდებარე მე-18 საჯარო სკოლაც აცხადებს, ასევე კერძო მცხოვრები, რომელსაც 2004 წელს სასამართლომ ეს ტერიტორია მას მიაკუთვნა.

„საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო შენობის გასაყიდად იმდენად დაჩქარებული ტემპით ამზადებს დოკუმენტებს, რომ გასაყიდ შენობებს მიაკუთვნეს ქალაქ თბილისის მე-18 საჯარო სკოლის ეზოც. ეს სკოლა ინსტიტუტის გვერდით მდებარეობს. სკოლას ეკუთვნის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით 689 კვ.მ. რაც სათანადო დოკუმენტებით დასტურდება და რომელსაც საჯარო რეესტრი გასცემს.

იგივე საჯარო რეესტრი 2008 წლის 29 ივლისს გასცემს ამონაწერს და ადასტურებს, რომ ეს 689 კვ. მ. მიწის ნაკვეთი ინსტიტუტს ეკუთვნის და გასაყიდად გამოაქვს“ — აღნიშნა საქართველოს განათლების ლიგის პრეზიდენტმა მანანა ნიკოლაიშვილმა.

ეს გარემოება ინსტიტუტის ადმინისტრაციას უცნაურად მიაჩნია.

„ვერაფერს იტყვი, „შესაშური“ კანონიერებით მოქმედებს ეკონომიკის სამინისტრო: გაყიდო ბავშვებისა და მასწავლებლების ქონება ისე, რომ არ დაინტერესდე და არ მოამზადო გასაყიდი ობიექტების სამართლებრივი დოკუმენტები! სკოლის ეზო სკოლას უნდა დარჩეს! 689 კვ. მ. სასწრაფოდ უნდა მოიხსნას აუქციონიდან! ინსტიტუტის შენობა კი მასწავლებელთა საკუთრებაა და არავითარ შემთხვევაში გაყიდვას არ ექვემდებარება“, — განაცხადა მანანა ნიკოლაიშვილმა.

მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, ანუ პროფესიული განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელშიც სახელმწიფო მუდმივად უნდა დებდეს ფულს.

„ყველა ქვეყანაში არის პედაგოგთა დახელოვნების თუნდაც ერთი ინსტიტუტი, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს“, — აღნიშნა მანანა ნიკოლაიშვილმა.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტი უკვე 80 წელია არსებობს, რომელმაც, დაახლოებით, მილიონზე მეტი მასწავლებელი გადაამზადა.

შენობის საწყისი ფასი 2 000 000 დოლარია. ამხელა ტერიტორიის ამ ფასად გაყიდვა და ისიც ქალაქის ცენტრში, ცოტა საეჭვოდ მიაჩნიათ პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტში.

**გუშინ ინსტიტუტი უნდა გაყიდულიყო, მაგრამ, როგორც გვითხრეს, სათანადო დოკუმენტების ჯეროვნად გაუფორმებლობის გამო აუქციონი გადაიდო.**

**ისე, კაცმა რომ თქვას, დოკუმენტებიც რომ ყოფილიყო წესრიგში, რა გვეაუქციონებოდა?!**

**მაგდა აფაქიძე**

პეკინი – 2008

# ქართველები პეკინში ასეთი განრიგით იასპარეზებენ



### 9 აგვისტო

1. **ნესტორ ხერგიანი,** ძიუდო, 60 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30. ფინალური ეტაპი 14.00-15.30.
2. **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე,** მშვილდოსნობა. საკვალიფიკაციო შეხვედრები 08.00-10.00.
3. **გეორ-გია, საქა-რთველო,** პლაჟბურთი. წინასწარი შეჯიბრება 05.00-10.50, 14.00-19.45.
4. **ილია გიორგაძე,** სპორტული ტანვარჯიში. კვალიფიკაცია 08.00-10.00; 12.00-14.05, 16.00-18.05.

### 10 აგვისტო

1. **ზაზა კედელაშვილი,** ძიუდო, 66 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30. ფინალური ეტაპი 14.00-15.30.
2. **კახაბერ ჟვანია,** კრივი, 69 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 11.00-12.30, 16.30-18.15.
3. **ნინო სალუქვაძე,** ტყვიის სროლა. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. კვალიფიკაცია და ფინალი 05.00-12.15.
4. **პლაჟბურთი.** წინასწარი შეხვედრები 05.00-10.50, 14.00-19.45.
5. **ირაკლი რევიშვილი,** ცურვა, 200 მ. თავისუფალი ყაიდა. კვალიფიკაცია, **ანა სალნიკოვა,** ცურვა, 100 მ. ბრასი. ვალიფიკაცია. 14.30-17.20.

### 11 აგვისტო

1. **დავით ქევხიშვილი,** ძიუდო, 73 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30, ფინალური ეტაპი 14.00-15.30.
2. **ნიკოლოზ იზორია,** კრივი, 57 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 09.30-11.00, 15.00-16.30.
3. **პლაჟბურთი.** წინასწარი შეჯიბრებები. 05.00-10.50, 14.00-19.45
4. **ირაკლი რევიშვილი, ანა სალნიკოვა,** ცურვა. ნახევარფინალი 06.00-08.30.

### 12 აგვისტო

1. **საბა გავაშელიშვილი,** ძიუდო, 81 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30, ფინალური ეტაპი 14.00-15.30.
2. **ლაშა გოგიტაძე** (55 კგ.ძ, **დავით ბედინაძე** (60 კგ.ძ.



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, წინასწარი შეხვედრები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.00-15.00.
3. **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე,** მშვილდოსნობა. ინდივიდუალური შეხვედრები: 1/32,1/16 06.00-09, 10; 11.30-14.40.
4. **პლაჟბურთი.** წინასწარი შეჯიბრებები 05.00-11.50, 14.00-19.45.
5. **ირაკლი რევიშვილი, ანა სალნიკოვა,** ცურვა, ფინალები 06.00-07.43.

### 13 აგვისტო

1. **ირაკლი ცირეკიძე,** ძიუდო, 90 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30. ფინალური ეტაპი 14.00-15.30.
2. **მანუჩარ კვირკველია,** ბ/რ ჭიდაობა, 74 კგ. წინასწარი შეხვედრები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.30-15.00.
3. **პლაჟბურთი.** წინასწარი შეჯიბრება 05.00-10.50, 14.00-19.45.
4. **ნინო სალუქვაძე,** ტყვიის სროლა, სპორტული პისტოლეტი, კვალიფიკაცია, ფინალი 05.00-11.50.

### 14 აგვისტო

1. **ლომერ ჟორჟოლიანი,** ძიუდო, 100 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30. ფინალური ეტაპი 14.00-15.30.
2. **ბადრი ხასაია** (84 კგძ, **რამაზ ნოზაძე** (96 კგძ, ბჰ ჭიდაობა, წინასწარი შეხვედრები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.00-15.00.
3. **კახა ჟვანია,** კრივი, 69 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 09.30-10.30, 17.00-18.00.
4. **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე,** მშვილდოსნობა. ინდივიდუალური შეხვედრები 1/8, 1/4, 1/2, III ადგილი, ფინალი 06.30-08.30, 12.00-14.45.
5. **პლაჟბურთი.** წინასწარი შეჯიბრებები 05.00-10.50.
6. **ილია გიორგაძე,** ტანვარჯიში, მრავალჭიდი, ფინალი 07.00-09.00.

### 15 აგვისტო

1. **ლაშა გუჯეჯიანი,** ძიუდო, მძიმე წონა. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30. ფინალური ეტაპი 14.00-15.30.
2. **რაულ ცირეკიძე,** ძალოსნობა, 85 კგ. წინასწარი შეხვედრები 06.00-08.00. ფინალური ეტაპი 15.00-16.40.
3. **ნიკოლოზ იზორია,** კრივი. 57 კგ. წინასწარი შეხვედრები 09.30-10.30, 17.00-18.00.
4. **პლაჟბურთი.** მეთექვსმეტედფინალი. 05.00-08.00, 14.00-17.50.

### 16 აგვისტო

1. **პლაჟბურთი.** მეთექვსმეტედფინალი 14.00-17.50.
2. **ლუბა გოლოვინა,** ბატუტზე ხტომა. კვალიფიკაცია 07.00-08.15.
3. **მარიამ ქევხიშვილი,** ბირთვი. კვალიფიკაცია. 05.00-09.10, 15.00-18.40.

### 17 აგვისტო

1. **არსენ კასაბიევი.** ძალოსნობა. 94 კგ. 11.30-13.30, 15.00-16.40.
2. **კახა ჟვანია,** კრივი. 69 კგ. მეოთხედფინალი 16.00-17.00.
3. **ილია გიორგაძე,** თავისუფალი ვარჯიში, ტაიჭზე ვარჯიში. ფინალი 14.00-17.00.

### 18. აგვისტო

1. **ალბერტ კუზილოვი,** ძალოსნობა, 105 კგ. 11.30-13.30, 15.00-16.40.
2. **ნიკოლოზ იზორია,** კრივი, 57 კგ. მეოთხედფინალი 16.00-17.00.
3. **პლაჟბურთი.** მეოთხედფინალი 06.00-08.00, 16.00-17.50.
4. **ტანვარჯიში:** რგოლებზე ვარჯიში, ბჯენით ხტომები, ფინალი 14.00-16.15.
5. **ბატუტზე ხტომა,** ფინალი 16.25-16.44.
6. **დავით ილიარიანი,** 110 მ. თარჯრბენი. I წრე 07.10-08.00.

### 19 აგვისტო

1. **ბესიკ გუჩაშვილი,** თავისუფალი ჭიდაობა, 55 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.00-15.00
2. **ტანვარჯიში:** ორძელი, ღერძი, ფინალი 14.00-16.15.
3. **დავით ილარიანი,** 110 მ. თარჯრბენი. II წრე 16.45-17.20.

### 20 აგვისტო

1. **ოთარ თუშიშვილი** (66 კგძ, **გელა საღირაშვილი** (74 კგძ, თავისუფალი ჭიდაობა. წინასწარი შეხვედრები 05.*30*-09.00. ფინალური ეტაპი 12.00-15.00.
2. **პლაჟბურთი,** ნახევარფინალი 05.00-06.50.
3. **თარჯრბენი 110 მ.** ნახევარფინალი 17.30-18.10.

### 21 აგვისტო

1. **რევაზ მინდორაშვილი** (84 კგძ, **გიორგი გოგშელიძე** (96 კგძ, თავისუფალი ჭიდაობა. წინასწარი შეხვედრები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.00-15.00.
**2. თარჯრბენი, 110 მ.** ფინალი 17.35-17-45.

### 22. აგვისტო

1. **კრივი.** 57 და 69 კგ. ნახევარფინალები. 10.00-10.30, 16.30-17.00.
2. **პლაჟბურთი.** III ადგილი. ფინალი, 05.00-08.30.

### 23 აგვისტო

1. **კრივი,** 57 კგ. ფინალი 15.35-15.50.

### 24 აგვისტო

1. **კრივი,** 69 კგ. ფინალი 11.15-11.30.
2. **ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალი** 16.00-18.30.

**შენიშვნა:** ***ყველგან მითითებულია თბილისის დრო.***

# პირველი შედეგები

**აქეთ რონალდინიოს ბრაზილია, იქით მესის არგენტინა.**

**მართალია, პეკინის XXIX ოლიმპიური თამაშები ოფიციალურად გუშინ გაიხსნა, მაგრამ პირველი ბატალიები 6 და 7 აგვისტოს გაიმართა.**

**მიხვდით, ალბათ, ბრძოლაში პირველნი ფეხბურთელები ჩაებნენ. გაუწყებთ სასტარტო შეხვედრების შედეგებს:**



**ქალები**

**„ა" ჯგუფი.** არგენტინა – კანადა 1:2, ჩინეთი – შვედეთი 2:1.

**დღეს ითამაშებენ:** შვედეთი – არგენტინა, კანადა – ჩინეთი.

**„ბ" ჯგუფი.** გერმანია – ბრაზილია 0:0, ჩრდილოეთ კორეა – ნიგერია 1:0.

**დღეს ითამაშებენ:** ნიგერია – გერმანია, ბრაზილია – ჩრდილოეთ კორეა.

**„გ" ჯგუფი.** იაპონია – ახალი ზელანდია 2:2, ნორვეგია – აშშ 2:0.

**დღეს ითამაშებენ:** აშშ – იაპონია, ახალი ზელანდია – ნორვეგია.

**ვაჟები**

**„ა" ჯგუფი.** სერბეთი – ავსტრალია 1:1, არგენტინა – კოტ დივუარი 2:1.

**ხვალ ითამაშებენ:** არგენტინა – ავსტრალია, სერბეთი – კოტ დივუარი.

**„ბ" ჯგუფი.** ჰოლანდია – ნიგერია 0:0, იაპონია – აშშ 0:1.

**ხვალ ითამაშებენ:** ნიგერია – იაპონია, აშშ – ჰოლანდია.

**„გ" ჯგუფი.** ბრაზილია – ბელგია 1:0, ჩინეთი – ახალი ზელანდია 1:1.



**ხვალ ითამაშებენ:** ბელგია – ჩინეთი, ახალი ზელანდია – ბრაზილია.

**„დ" ჯგუფი.** იტალია – ჰონდურასი 3:0, კამერუნი – სამხრეთ კორეა 1:1.

**ხვალ ითამაშებენ:** იტალია – სამხრეთ კორეა, კამერუნი – ჰონდურასი.

ძიუდო

# ისევ ხერგიანი იწყებს

**დღეს, დილის 8 საათზე, პეკინის ოლიმპიურ ტატამზე საჭიდაოდ გავა ჩვენი სახელოვანი ფალავანი, წინა ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი, ევროპის ორგზის ჩემპიონი და ექსგზის „ბრინჯაოს" მფლობელი ნესტორ ხერგიანი (60 კგძ.** წილისყრამ პირველ მეტოქედ ფრანგი დმიტრი დრაგინი არგუნა, ვისთანაც აქამდე ორჯერ დამარცხდა. იმედია, ჩინეთის დედაქალაქში ხერგიანი რევანშს აიღებს. ამ შემთხვევაში მას ებრაელ გალ ეკუტიელსა და მონღოლ ათენის ოლიმპიადის მესამეადგილოსან ჰაშბაატარ ჩაგანბაატარს შორის გამარჯვებული დაუპირისპირდება. ამავე ჯგუფიდან ფინალში გასასვლელად იბრძოლებენ რუსი ევროპის ჩემპიონი რუსლან კიშმახოვი, ბრიტანელი კრეიგ ფელონი და ავსტრიელი ლუდვიგ პაიშერი. ბადის მეორე მხარეს მოხვდნენ იაპონელი ჰიროაკი ჰირაოკა, კორეელი ჩოი მინჰო, ჰოლანდიელი რუბენ ჰოუკესი, ლიტველი ალბერტ ტეხოვი. წინა ოლიმპიადის მსგავსად თამაშების პირველ დღესვე შევძლებთ თუ არა მედლის მოპოვებას, დღეს ოთხის ნახევრისთვის შევიტყობთ.



არანაკლებ დაძაბული ორთაბრძოლების გადახდა მოუწევს სამგზის ევროპის ჩემპიონ ზაზა კედელაშვილს (66 კგძ, ხვალ პირველ პაექრობას იგი ჩინელ ვუ ჩინსა და უნგრელ მიკლოშ უნგვარს შორის გამარჯვებულთან გამართავს. ამ წყვილში რეგალიებით აშკარა ფავორიტია ორგზის ევროპის ვერცხლისა და ორგზის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი უნგრელი, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მას პაექრობა მასპინძელთან მოუწევს. რაც შეეხება უნგვარს, მასთან ქართველი ფალავანი შარშან მსოფლიო ჩემპიონატზე დამარცხდა, თუმცა ზაზამ წლეულს ევროპის პირველობაზე ღირსეული რევანში აიღო.

კედელაშვილის შესაძლო მეტოქეები არიან რუსი ალიმ გადანოვი და აზერბაიჯანელი რაბილ გასიმოვი, ფრანგი ბენჟამენ დარბელე, კორეელი პაკ ჩოი მინი, ბრაზილიელი ჟოაო დერლი ჟუნიორი.

ბადის მეორე მხარეს ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ იაპონელი მასატო უჩიშიბა, ირანელი არაშ მირესმაილი, ჰოლანდიელი დაქს ელმონტი, სომეხი არმენ ნაზარიანი, კუბელი იორდანის არენსიბია. როგორც ვხედავთ, საუკეთესო ფალავანთა თანავარსკვლავედია და იქ გამარჯვება, მართლაც, გმირობის ტოლფასი იქნება.

ორშაბათს დავით ქევხიშვილი (73ძ იჭიდავებს. პირველ წრეში მოლდოველ სერგეი ტომასს ხვდება.

## ვემშვიდობებით

**ვახუშტი კოტეტიშვილი**

# რაც მეთქმევინა...

**სანამ ჩვენს დიდ მოღვაწეთა გვერდით წმინდა ქართულ მიწას მივაბარებდეთ ჩვენს საყვარელ ვახუშტი კოტეტიშვილს, ქვემოთ გთავაზობთ მის ორ ლექსს სულ ახალი, ბოლო კრებულიდან („რაც მეთქმევინა“).**

* * *

*ვახუშტი კოტეტიშვილი*
*ახირებული კაცია,*
*თავზე ახურავს ბერეტი,*
*გაქექილ ჯინსებ აცვია,*

*ლექსების ფარას მოდენის*
*როგორც რო მწყემსი ქაცვია.*
*მისთვის კაცია მთავარი,*
*არა ჯური თუ ნაცია.*

*ხან საქმე უკეთებია*
*ხან ცოტა უზარმაცია,*
*სიმღერ-სიმღერით დაიცვა*
*ორივე დისერტაცია.*

*თავისას არ იშურებდა,*
*სხვისი არ წაუტაცია,*
*ყველაფერს წერდა მარჯვენით,*
*არ უხმარია ცაცია.*

*კარგ ლექსებს იჭერს შორითვე,*
*თითქოს ყურს უდგას რაცია.*
*პურ-მარილისას დინჯია,*
*მთვრალს არსად ურაცრაცია,*

*ბუნებით დარბაისელი*
*ქალებთან ცოტა ანცია,*
*შეუნდეთ, ჯეელობისას*
*თუკი რამ უქიცმაცია.*

22.11.07.



### სიკვდილის სონეტი

*სახათაბალოდ თავს რატომ ვიხდით?!*
*რატომ გვაღელვებს ეს ისტორია?!*
*სიცოცხლის ვალებს დღეს რატომ ვიხდით?!*
*სიკვდილის ტორი — ეს ის ტორია,*

*რომელიც დაგვცემს ადრე თუ გვიან*
*დიდსა თუ მცირეს, ყველას ერთიან.*
*სიცოცხლის წყლები დღეს რასაც ჰქვია,*
*ყველანი ლეთეს ტალღებს ერთვიან.*

*არქეოლოგნო, თხოვნა მაქვს ერთი:*
*მიწა, რომელიც მერგო საქვალედ,*
*არ გადათხაროთ, იწამეთ ღმერთი,*
*იქ მაინც მშვიდი ძილი მაცალეთ!*

*შემაცნობინეთ ბნელი ჰადესი,*
*სააქაოზე უდიადესი.*

21.09.07.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი
ვახუშტი კოტეტიშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

---

ედუარდ შევარდნაძე მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე
ვახუშტი კოტეტიშვილი
და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს

ედუარდ შევარდნაძე
8.08.2008 წელი

---

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება ცნობილი ქართველი მეცნიერის, ლიტერატორის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის
ვახუშტი კოტეტიშვილის
გარდაცვალებას, თანაუგრძნობს ოჯახსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

---

თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის 1954 წლის გამოშვების 11² კლასის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის
ვახუშტი კოტეტიშვილის
გარდაცვალებას.

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87;
899 32-85-76.
კოსტავას 12

## ⊙ IQ

გონების სავარჯიშო – ყმაწვილთათვის და არა ოდენ მათთვის

# მარჯვე ბიჭო ნიკო, შეიმოწმე ინკო*!

### ტესტი 5

1. რომელი ასოს დასმა იქნება ლოგიკური კითხვის ნიშნის მაგიერ ამ რიგში?
ბ, გ, დ, ზ, თ, მ, ნ, ფ, შ, ძ, წ?
2. რა რიცხვი დაჯდება კითხვის ნიშნის ადგილას?

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 7 | 5 | 5 | 3 |
| 21 | 5 | 15 | 3 | 9 | ? |

3. გამოიცანით ერთსიტყვიანი ანაგრამა: ლიბრი გრატა
4. ჩაწერეთ ფრჩხილებში ისეთი სიტყვა, რომელიც ორივე განსაზღვრებას მიესადაგება:
ნადირი (....ძ სამუშაო იარაღი
5. ამ რიგში რომელ რიცხვს ეკუთვნის კითხვის ნიშნის ადგილი?
2, 3, 5, 7, 11, ?, 17, 19
6. აპრილი, ბადე, გრიალი, ...., ენძელა
მოცემულ სიტყვათა მწკრივში ქვემოთ მოყვანილი ხუთი სიტყვიდან ლოგიკურად რომელმა უნდა შეავსოს წერტილებით მონიშნული ადგილი?
ასლი, ველი, დილა, ზარი, თელა
7. დააკვირდით რიცხვთა პირველ ორ ჯგუფს და მოიფიქრეთ მესამეში კითხვის ნიშნის ნაცვლად ჩასასმელი რიცხვი.
1, 2, 3, 14; 4, 5, 6, 77; 7, 8, 9?
8. რომელი ასო იმყოფება ორი ასოთი მარცხნივ იმ ასოსგან, რომელიც სამი ასოთი მარჯვნივ დგას იმ ასოსგან, რომელიც წერია უშუალოდ იმ ასოს მარჯვნივ, რომელიც არის სამი ასოთი მარცხნივ ზ-დან?
ა, ბ , გ,დ , ე, ვ, ზ, თ
9. ზამთრის სპორტის სახეობაში „ჩადებულია“ ცხოველთა მეფე: სლა**ლომი**; ესპანეთის ერთ-ერთ მხარეში – შინაური ცხოველი: **კატა**ლონია; გაიხსენეთ ცნობილი რუსი ჭადრაკის დიდოსტატის გვარი, რომელიც შეიცავს სახელგანთქმული გერმანელი კომპოზიტორის გვარს.
10. ფრჩხილებში შეიტანეთ ორივე განსაზღვრებასთან შეფარდებული სიტყვა:
ქიმიური ელემენტი (......ძ გიგანტი

### ტესტი 4-ის პასუხები

**1. კეტი**
**2. მარცხენა სამკუთხედში გვაქვს: 2+1+4=7; მარჯვენაში: 3+5+7=15; შუაშიც რომ იგივე სურათი გამოვიდეს, კითხვის ნიშნის მაგიერ უნდა დავსვათ 0.**
**3. სისქე; მარცვალთა გადასმით გამოვა ახალი სიტყვა „სქესი“.**
**4. სიღრმე.**
**5. მფცქვნის.**
**6. დუმბაძე; კუკარაჩა**
**7. პირველ მწკრივში მეოთხე რიცხვი არის წინა სამის ჯამი: 1+2+3=6; ასევე მეორეში: 7+8+9=24; მესამეში კითხვის ნიშანს 33 შეცვლის, ამ წესის თანახმად: 10+11+12=33**
**8. ლარი (2 აგვისტოს პუბლიკაციაში ამ დავალებაში გაიპარა კორექტურული შეცდომა: ფრჩხილების წინ უნდა იყოს „სიმი“ძ**
**9. სიტყვები გამოვა *უქმე, მორი, არზა, ლირა, ფრინველი – ქორი.***
**10. ჭორი – დახეთქება.**

* ინკო – ინტელექტის კოეფიციენტი.

## ⊙ კადრი



## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა კვირას, 10 აგვისტოს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსლან რუსია
899 17-21-21

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.